# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 2010 წელი.

№173 (6539)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მშობელ მიწის მადლი გზრდიდეთ!..



*ჩემს შვილიშვილს ანას და მის უამრავ თანატოლს – ნიას, ანდროს, სანდროს და კიდევ სხვებს, რომლებიც გუშინ პირველად წაცქრიალდნენ სკოლაში.*

ანანიკოს (და უამრავ ანასო),
დავულოცავ უნეტარეს ხანასო,
იმნაირად კოპწიობთ და ირთვებით,
გავხართ მართლაც მოღაღანე ყანასო.
მშობელ მიწის მადლი გზრდიდეთ,
გფარავდეთ,
და იყავით სწავლით, შრომით გართული,
სამი სიტყვა გინათებდეთ გზა-სავალს:
საქართველო, ქართველი და ქართული!

ვილენ მარდალეიშვილი.









ლია მუხაშავრია:

## კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვას კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია

3



5

## მძიმედ გასახსენებელი 11 სექტემბერი

„ცენტრ პოინტ ჯგუფი“:

## გენერალური შეტევა მოწესრიგებული წრის გასარღვევად

3

## მამული ციდან დანახული სჯობს ვითომ?

2

## ვისზეა მორგებული საკონსტიტუციო ცვლილებები?

2

# ხელისუფლებამ ნონა გაფრინდაშვილთან თავი კიდევ ერთხელ დაიშამათა!

## ვირისგან წიხლი რა საწყენია

10



## კაცი, რომელიც კვლავაც ჩვეული ერთგულებით პატრონობს თითოეული ქართული ვაზის ჯიშს – ისტორიულ ძეგლს



6

## ღია ბარათი საქართველოს პრეზიდენტს

# მამული ციდან დანახული სჯობს ვითომ?

**პატივცემულო, საყვარელო და ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო! ამ ბარათს გწერთ ქალაქ ჯვარის მთელი მოსახლეობის სახელით (თუმცა, თქვენი გაპრეზიდენტების შემდეგ ჯვარს ქალაქობა „ჩამოართვეს“ თქვენმა ჟურნალისტებმა!ძ მართალი გითხრათ, ე.წ. „გუბერნიის“ და „მაზრის“ ხელმძღვანელებისთვის არც გვიკითხავს, მიგვეწერა თუ არა, პრეზიდენტისთვის ჩვენი გულისტკივილი. ვიცოდით, მათ მოერიდებოდათ თქვენი შეწუხება და იქნებ ამ „შეწუხებით“ გადადგომისთვისაც გამოეკრათ ხელი!**

იკითხავთ, რაშიაო საქმე? რაშია და ზღვაშია, წყალშია, ენგურშია, მაგანაშია, ჩემო ბატონო! თქვენ ანაკლიიდან მესტიისკენ ფეხით რომ წაბრძანდეთ (უკაცრავად – მანქანით!ძ, ბევრს რასმეს საინტერესოს შეხვდებოდით გზადაგზა, გაიმდიდრებდით თქვენს ტურისტულ ფანტაზიას და ანაკლია-მესტიის ტურისტულ „ტრასაზე“ ლუგელას არ ჩართავდით! მაგრამ ეს განზე იყოს, ამჯერად ჩვენს მთავარ სათქმელს მივხედოთ:

ზუგდიდიდან ზუსტად 29-ე კილომეტრზე მდინარე მაგანაზე გადებულია სამანქანე ხიდი. ეს ის მდინარეა, რომლის სათავეებთან მდებარეობს ცნობილი ტბა ტობავარჩხილი, უნიკალური ხედებით, კანიონებით, შესანიშნავი პანორამებითა და ჰავა-ჰაერით. ჰოდა, ამ მდინარეზე გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში აშენდა მართლაც რომ უჩვეულო კონსტრუქციის უნიკალური ხიდი, რომელსაც „ბრუკლინის ხიდი“ უწოდეს არაოფიციალურად. მაშინ, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ხალხი ბრმა იყო და არავინ არ იცოდა, თუ რატომ ეძახდნენ ამ ხიდს ასე. მაგრამ იყვნენ ცოტათი თვალახელილებიც, და სწორედ მათ დააპროექტეს და გადაწყვიტეს, ნიუ-იორკის კუნძულ ბრუკლინთან შემაერთებელი ხიდის მსგავსი ხიდი აეშენებინათ აქ, სადღაც, მიკარგულ კავკასიაში... და ააშენეს კიდეც! ააშენეს და, 1932 წელს მასზე სვანეთისკენ მიმავალმა პირველმა ავტომ გაიარა!

ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მაშინ „სამყაროს მოწყვეტილი“ სვანეთისათვის! მასზე აღფრთოვანებული წერდნენ მაშინ საქართველოში მწირად მოხვედრილი უცხოელი ჟურნალისტები და შინაური მწერალ-კალმოსნები. თუ გაგიგონიათ, აკაკი ბელიაშვილმა (იყო ასეთი შესანიშნავი ქართველი მწერალი!ძ ძალიან ლამაზად აღწერა თავის ერთ-ერთ თხზულებაში ეს ხიდი და ქვეყანას გააცნო, არქიტექტურისა და ხიდმშენებლობის როგორ შედევრთან გვქონდა საქმე! შემდეგ და შემდეგ წლებშიც ბევრმა მიუძღვნა აღფრთოვანებული სტრიქონები მაგანას ხიდს, მაგრამ ჩვენს დროში აღფრთოვანება თანდათან მიინავლა!..

ამჯერად ამ ხიდის ტექნიკურ მხარეზე საუბარს არ გავაგრძელებ, მხოლოდ ორიოდე სიტყვით გეტყვით, – ხიდი (როგორც ბელიაშვილიც წერდა!ძ ოზოზას ძელივით ჰკიდია მძლავრი ბაგირებით ზეალმართულ ასევე მძლავრ ბოძებზე და მისი სიგრძე ორმოცდაათ მეტრამდე აღწევს!

და, აი, გასული საუკუნის სამოციან წლებში მოვიდნენ ენგურჰესის უნიკალური თაღოვანი კაშხლის მშენებლები, მაგანას ხიდი 27-ტონიან „ბელაზებს“ ვერ გაუძლებსო და „ბრუკლინს“ გვერდით მიადგეს ე.წ. „სამუშაო ხიდი“... მიადგეს და ის ფარვატერი, სადაც მაგანა მოედინებოდა, 10 მეტრამდე შეავიწროვეს. ასე და ამგვარად, მდინარე მაგანას „გზა“ შეეკრა. „უგზოობის“ გამო კი, მაგანამ ქვებითა და ლოდებით აავსო ხეობა, დაგუბდა მდინარე და დატბორვით დაემუქრა ქალაქს.

მოგვიანებით მიხვდნენ მშენებლები და, თითქოს ბოდიშს იხდიანო, იქვე ახალი მესამე ხიდი ააგეს. ის „შუათანა“ ხიდი დაშალეს, მაგრამ იმ „სამუშაო ხიდის“ ჯებირები ისევ ისე დატოვეს და კვლავ ყელში ეჩხირება მაგანას. „ბრუკლინის ხიდი“ კი სევდიანად მიერეკება თავის დარჩენილ წუთისოფელს!






რატომ „დარჩენილსო“, იკითხავს თქვენი ყურადღებიანი ცნობისმოყვარეობა! იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ:

– ხიდის რვა ჭა, რომელშიც ჩამონტაჟებულია ხიდის სამაგრი მძლავრი მექანიზმები, მიწითა და ღორღით ამოივსო, დაჟანგდა და განადგურდა და ერთ მშვენიერ (თუ უბედურძ დღეს ბაგირები დაწყდა! წარმოუდგენელი იყო, მაგრამ, მაინც, დაწყდა! ამჟამად ერთ მხარეს 12 ბაგირიდან მხოლოდ შვიდიღა დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს თუ ხვალ დანარჩენებიც მიჰყვებიან მათ და „ბრუკლინი“ ჩაიხერგება!

მერე რაო, იკითხავთ, თქვენ თუ არა სხვები! თითქოს, არაფერიო! მაგრამ როდესაც, დღეს ანაკლია-მესტიის ტურისტულ მარშრუტზეა საუბარი, მას (მაგანას ხიდსძ დიდი შთაბეჭდილება შეეძლო მოეხდინა დამთვალიერებლებზე, როგორც უნიკალური კონსტრუქციის ისტორიულ ძეგლს!

ამიტომ, თუ მაგანას ხიდი დაიმსახურებს თქვენს ძვირფას ყურადღებას, იქნებ გამოიაროთ და თქვენ თვითონ დარწმუნდეთ ჩვენი თხოვნის აქტუალობაში.

მართალია ადგილობრივმა ბიზნესმენებმა სცადეს ხიდის გასუფთავება-აღდგენა, მაგრამ მხოლოდ კერძო ბიზნესმენმა კი არა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამაზე უპირველესად, რადგან ურთულესი კონსტრუქციის აღდგენა-განახლება მხოლოდ სახელმწიფო კონტროლით უნდა მოხდეს!

**თუ არა და, იფრინეთ ბატონო თქვენც და უცხოელმა ტურისტებმაც ვერტმფრენებით და „კუკურუზნიკებით“, ოღონდ. ციდან ნანახი ქვეყანა ხომ ნაკლებად ჰგავს მამულს?**

**ზაალ ფილფანი**

## ინფორმაცია

### ვისზეა მორგებული საკონსტიტუციო ცვლილებები?

**პარტია „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას შეფასებით, საკონსტიტუციო ცვლილებები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზეა მორგებული.**

**ამის შესახებ ალასანიამ საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიასთან შეხვედრის დაწყების წინ ჟურნალისტებს განუცხადა.**

– შეხვედრის მიზანი აზრთა ურთიერთგაცვლაა. ჩვენ ვთანხმდებით, რომ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები მორგებულია კონკრეტულ პიროვნებას, მის ინტერესებს - საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს. მთელი ლოგიკა კონსტიტუციური ცვლილებებისა სწორედ ამას ადასტურებს, – განაცხადა ალასანიამ და აქვე დასძინა, რომ მისი პოლიტიკური გუნდისთვის მიუღებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ემსახურება ერთ პიროვნებას და არ ქმნის სტაბილურ პოლიტიკურ სისტემას ქვეყანაში.

მისივე თქმით, ყველაზე მისაღები სისტემაა გაწონასწორებული საპრეზიდენტო რესპუბლიკა, გაწონასწორებული ურთიერთობებით, მაღალი საპარლამენტო კონტროლითა და დამოუკიდებელი სასამართლოთი.

### რისი შეჩერება სურთ?

**საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი მიზანი ქვეყანაში მონარქიზაციის შეჩერებაა. ამის შესახებ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა.**

**ამავე დროს თარგამაძე აცხადებს, რომ კონსტიტუციამ არც სახელისუფლებო ქაოსი არ უნდა შექმნას.**

„ქრისტიან-დემოკრატები“ თავიანთ პოზიციას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დიპლომატიურ კორპუსს აცნობენ.

როგორც მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, აუცილებელია, რომ დიპლომატიურმა კორპუსმა იცოდეს ყველა პოლიტიკური ძალის შეხედულება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

### პირველად, რაც რუსი მესაზღვრეები ჩადგნენ

**ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარემ გაეროს მხრიდან ანტი ტურუნენმა გალის რაიონში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილები, ე.წ. მესაზღვრეთა დანაყოფები მოინახულა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზეთში დისლოცირებული რუსული „ეფ-ეს-ბეს“ სასაზღვრო სამსახურის პრესსამსახური ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, სამხედრო დანაყოფების მონახულებისას ანტი ტურუნენი გაეცნო ე.წ. სასაზღვრო სამმართველოს თანამშრომელთა განლაგებას და ხელმძღვანელობას შეხვდა. აფხაზური მედიის ინფორმაციით, შეხვედრაზე საზღვრის დაცვის საკითხები განიხილებოდა.

– აღნიშნული შეხვედრა პირველია, მას შემდეგ რაც აფხაზეთში რუსული „ეფ-ეს-ბეს“ სასაზღვრო დანაყოფები ჩადგნენ“ – იუწყება აფხაზეთში რუსული „ეფ-ეს-ბეს“-ს პრესსამსახური.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

### დაესწრებიან მაღალჩინოსნები?

**სექტემბერ-ოქტომბერში პარლამენტში სამთავრობო საათი ორჯერ გაიმართება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი დაესწრება. ამის შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

როგორც ბაღათურიამ აღნიშნა, იგი ორ საკითხზე ითხოვს სამთავრობო საათის გამართვას და ორივე საკითხზე სამთავრობო საათი ცალ-ცალკე გაიმართება.

ბაღათურია აცხადებს რომ, 30 სექტემბერს ყოფილი სახალხო ბანკის მიერ პენსიების სესხად გაცემაზე მაღალი პროცენტი და საპენსიო მინიმუმის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საკითხი განიხილება.

ოქტომბრის ბოლო ხუთშაბათს გაიმართება მეორე სამთავრობო საათი, სადაც ბაღათურიას ინფორმაციით განხილულ იქნება სასურსათო პროდუქტზე ფასების ზრდის, ღარიბი მოსახლეობის უფასო სამედიცინო დაზღვევის, მედიკამენტებზე ზღვრული ფასების დაწესების და კონფლიქტის ზონის მენაპირე სოფლებისთვის განსაკუთრებული სოციალური სტატუსის მინიჭების საკითხი.

ორივე სამთავრობო საათზე ჯონდი ბაღათურია პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ეკონომიკური გუნდის მისვლას ითხოვს.

### პოლიტიზება დევნილების დაბრუნების საკითხზე

**საქართველო დევნილების დაბრუნების საკითხის პოლიტიზებას ახდენს და ამასთან ერთად მას სულაც არ აღელვებს ამ ხალხის კეთილდღეობა. ეს განცხადება სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ გაეროს დევნილთა საკითხებში უმაღლეს კომისართან უოლტერ კალინთან შეხვედრისას გააკეთა.**

ღვინჯიამ ასევე განაცხადა, რომ 1999 წელს აფხაზურმა მხარემ თავად მოახდინა დევნილთა დაბრუნების საკითხის ინიცირება და ცალმხრივად გალის რაიონში დაახლოებით 60 ათასი დევნილი დააბრუნა.

მისივე თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დევნილების მასობრივმა და სტიქიურმა დაბრუნებამ შესაძლოა რეგიონში სიტუაციის გაუარესება გამოიწვიოს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ბიზნესი

# საგადასახადო ცვლილებებით კმაყოფილი არიან

**კომპანიები მაგთი და ჯეოსელი გახდნენ პირველი კომპანიები, რომლებმაც საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შემოსავლების სამსახურისგან წინასწარი გადაწყვეტილების დოკუმენტი მიიღეს.**

შემოსავლებს სამსახურის ინფორმაციით, ორივე კომპანია იყო პირველი, რომლებმაც სამსახურს ასეთი დოკუმენტის მიღების თხოვნით მიმართეს.

– აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც არსებულ საგადასახადო კოდექსში შევიდა, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. რადგან ადრე თუ გვესმოდა, რომ ბიზნესი იყო დაუცველი და ის წერილები და რეკომენდაციები, რომელსაც ბიზნესი ოფიციალური ორგანოებისგან იღებდა სამომავლოდ შესაძლოა გარკვეული დავების საგანი გამხდარიყო, დღეის შემდეგ ასეთი რამ აღარ მოხდება, რადგან კონკრეტულ ოპერაციაზე შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულ დასკვნას აქვს კანონის ძალა და მისი შეცვლა შეუძლებელია. თუ კომპანია მოიქცევა ისე, როგორც დასკვნაშია ნათქვამი, მაშინ მას ვერასოდეს ვერავინ შეედავება, – განაცხადა შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ბიზნესის წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვამენ.

როგორც ვისოლის ხელმძღვანელმა ვასილ ხორავამ განაცხადა, ხელისუფლებამ კანონში არსებული ხარვეზები კარგად დაინახა და მათი გამოსწორებით ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი.

– გადამხდელთა მომსახურების კუთხით ბოლო პერიოდში ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდა. იგივე ელექტრონული დეკლარაციები, „ოქროს სია“ და ამჯერად „წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის წესი„. ის რეგულაციები, რაც აქამდე იყო, ბიზნესისთვის იყო ხელისშემშლელი, რადგან ორაზროვანი მუხლების არსებობა ბიზნესს ხელს უშლიდა, ოფიციოზის მიერ გამოცემული განმარტებები არ იყო ოფიციალური დოკუმენტი და, შესაბამისად, ბიზნესი ხშირად სწორ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა, – განაცხადა ხორავამ.

მისი თქმით, ამჟამად ეს ბარიერები მთლიანად მოიხსნა.

მისივე განმარტებით, მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ შეიცვალა იმპორ-



ტის დღგ-სგან დაბეგვრის წესი.

– რეალურად დღეს ბიზნესს ეძლევა საშუალება, რომ იმპორტი გამოთავისუფლდეს დღგ-ს გადასახადისგან გარკვეული პერიოდით, ანუ ეს არის ბიზნესისთვის 30-დღიანი უფასო კრედიტი, – განაცხადა ვასილ ხორავამ.

ჯი-ეიჩ-ენი

## პოზიცია



„ინტერპრესნიუსს“ ესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი, კონსტიტუციის საზოგადოებრივი კომისიის წევრი ლია მუხაშავრია.

# კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვას კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია

**— ქალბატონო ლია, საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის ახალი პროექტის საჯარო განხილვა შეაჯამა. თქვენი შეფასებით, პროექტის საერთო-სახალხო განხილვის შემდეგ კონსტიტუციის პროექტის პარლამენტისთვის წარდგენამდე საკონსტიტუციო კომისიამ რა გაითვალისწინა, და რა არა?**

— საკონსტიტუციო კომისიის შემაჯამებელი სხდომა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისა და პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ხელმძღვანელობით კი შედგა, მაგრამ კონსტიტუციის პროექტში არანაირი ცვლილება არ შესულა. როგორც ამ სხდომაზე ოფიციალურად თქვეს, ყველა საკითხი ღიად დარჩა და ამ თემებზე მსჯელობა პარლამენტის კედლებში გაიმართება. ჩემი აზრით, ამგვარი რამ სწორი ნამდვილად არ არის, რადგანაც, საერთო-სახალხო განხილვას ის უპირატესობა აქვს, რომ მოქალაქეებს უშუალოდ ჰქონდათ საშუალება, თავიანთი აზრი გამოეთქვათ. ხელისუფლების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, კონსტიტუციის ახალი პროექტი პარლამენტში იმ სახით შევა, როგორადაც მასზე მუშაობა საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა.

თუმცა, პარლამენტში შესატანი პროექტის ოფიციალური ვერსიისთვის თვალის გადავლება ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენც და საზოგადოებამაც გამოვთქვით შენიშვნები ელემენტარული გრამატიკული შეცდომების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე.

**— საკონსტიტუციო ცვლილების მთავარი იდეა ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის შექმნა იყო. თქვენი აზრით, კონსტიტუციის ახალი პროექტით რამდენად დაბალანსებულია ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობა და წარმოდგენილი ვარიანტი რამდენად შეიძლება იყოს ქვეყნის სტაბილურობის გარანტი?**

— ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ წარმოდგენილ პროექტში ხელისუფლების შტოებს შორის არანაირი ბალანსი არ არის. კიდევ ერთი ამოცანა, რასაც საკონსტიტუციო რეფორმა ითვალისწინებდა, ის გახლდათ, რომ მას კრიზისულ ვითარებაში სიტუაციის უმტკივნეულოდ განმუხტვის პირობები უნდა შეექმნა. არც ეს არის მიღწეული.

პრეზიდენტის უფლებამოსილება თითქოს პრემიერ-მინისტრზე გადავიდა, რაღაც საკითხები პრეზიდენტს პირადად და უშუალოდ ჩამოსცილდა, მაგრამ პრემიერის გაძლიერების შემდეგ თუ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის უთანხმოება წარმოიშვება, მათ ორივეს შეუძლია ქვეყანა და პოლიტიკური ცხოვრება ძალიან მწვავე კრიზისში და პრაქტიკულად გამოუვალ ჩიხში შეიყვანონ, რაც ქვეყნისთვის საზიანო იქნება. კონსტიტუციის შემოთავაზებულ ვარიანტში პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთობა კრიზისის წარმოქმნის დამატებითი წყარო შეიძლება აღმოჩნდეს.

**— ბევრს საუბრობენ, რომ პარლამენტი მნიშვნელოვნად გაძლიერდება. თქვენი აზრით, მართლაც ძლიერდება პარლამენტი თუ ძლიერდება, რაში ვლინდება ეს?**

— მე არ ვფიქრობ, რომ პარლამენტი ძლიერდება, უფრო პირიქით. საბიუჯეტო კანონში ცვლილებების მიუღებლობაც კი და მთავრობის მიერ კანონპროექტის შეტანაზე პარლამენტის გაჯიუტება ან უარყოფითი დამოკიდებულება შესაძლოა, პარლამენტს დაშლის ფასი დაუჯდეს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ წარმოდგენილი პროექტით პარლამენტი არა თუ ძლიერდება, არამედ მნიშვნელოვნად სუსტდება. კანონპროექტის შეტანისთანავე მთავრობას შეუძლია საკუთარი ნდობის საკითხი დააყენოს და თუ პარლამენტმა კანონპროექტი დაიწუნა, ეს ნიშნავს, რომ იგი მთავრობას უნდობლობას უცხადებს, რომლის დროსაც საქმეში ერევა პრეზიდენტი, რომელსაც ამ მოტივით შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი. ვითარებაში, როცა კანონპროექტის გაუსვლელობის შემთხვევას შეიძლება პარლამენტი გადაჰყვეს, პარლამენტის გაძლიერებაზე საუბარი არ შეიძლება.

**— ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი კონსტიტუციით ძალაუფლების ცენტრი პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრზე გადადის. რამდენად შეესაბამება ამგვარი მტკიცება სინამდვილეს?**

— საუბარია იმაზე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებაში შიგნით წარმოიშვა კიდევ ერთი ცენტრი პრემიერ-მინისტრის სახით, რომლის უფლებამოსილება პრეზიდენტთან მიმართებაში მთლად კარგად დაბალანსებული არ არის. მართალია, პრეზიდენტი არ ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას, მთავრობასათან მიმართებაში პრეზიდენტი ცოტა დისტანცირებულია, მაგრამ პრეზიდენტს მუდმივად ექნება შესაძლებლობა გამონაკლისის სახით, რასაც კონსტიტუცია არ აზუსტებს, მთავრობის წინაშე დააყენოს საკითხები და ამით პრაქტიკულად ჩაშალოს მთავრობის მუშაობა, ანუ შექმნას ვითარება, როცა მთავრობა ვალდებული იქნება ეს საკითხები განიხილოს.

თუ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ასეთი დაპირისპირება წარმოიშვა, ეს შეიძლება სერიოზულ უთანხმოებაში გადაიზარდოს, რაც ქვეყნისათვის სასურველი არაა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების ერთდროული კონცენტრირება დამატებითი პრობლემაა.

**— ოპოზიციასთან გამართული შეხვედრების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ კონსტიტუციის ახალ პროექტში ორგანული კანონი დარჩება, გუბერნატორებს დანიშნავს არა პრემიერი, არამედ მინისტრთა კაბინეტი, შრომისა და საგადასახადო კოდექსებს ორგანული კანონის სტატუსი ექნებათ და ასე შემდეგ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება გარკვეულ შემხვედრ ნაბიჯებს დგამს. . .**

— მეც მეგონა, რომ ასეთი ნაბიჯები გადაიდგმებოდა, მაგრამ მე იურისტი ვარ და განცხადებებზე მეტად ყურადღებას მიღებულ გადაწყვეტილებებს ვაქცევ. საკონსტიტუციო კომისიის შემაჯამებელ სხდომაზე არც ერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა. კომისიას კონსტიტუციის პროექტის არც ერთი მუხლი არ დაუწუნებია და არც შესწორება არ შეუტანია. ეს მარწმუნებს იმაში, რომ ეს იყო ფუჭი დაპირებები, ვინაიდან უკვე გამოცხადდა, რომ ეს საკითხები კვლავ ღია დარჩა და მათზე ნულოვანი პოზიციიდან პარლამენტი იმსჯელებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაპირებები, თითქოს კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვის შემდეგ სახელმწიფო კომისია პროექტში შესწორებებს შეიტანდა, რაღაცას დათმობდა, არც გამოკვეთილა და არც შესწორებები შეუტანიათ.

ძალიან თვალსაჩინოა ორგანულ კანონთან დაკავშირებით გამართული დებატები და ორგანული კანონის დარჩენის სასარგებლოდ გაჟღერებული არგუმენტები. ამ არგუმენტების საპირწონე არგუმენტები სახელმწიფო კომისიას არ წარმოუდგენია. მართალია, მას არც იმის მტკიცება არ დაუწყია, რომ ორგანული კანონის გაუქმება უმჯობესია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვას კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. ამის დასტურია ორგანული კანონის მაგალითი. თუმცა, ვფიქრობ, რომ ორგანული კანონის საკითხი ხელისუფლებამ ოპოზიციასთან სავაჭროდ იმისთვის დაიტოვა, რომ შემდეგ თქვას, ხელისუფლებამ საზოგადოებისა და ოპოზიციის აზრი გაითვალისწინაო. თუმცა, ვნახოთ, როგორ წარიმართება მოვლენები.

**— სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა განაცხადა — ვენეციის კომისიას და ექსპერტებს აქვთ შენიშვნები, მაგრამ ყველა ეთანხმება აზრს, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტი დემოკრატიის განვითარებისათვის წინგადადგმული ნაბიჯია. ეთანხმებით თუ არა ბატონ დემეტრაშვილის შეფასებას?**

— ვერანაირად ვერ დავეთანხმები, თუნდაც იმიტომ, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვის პროცესი იყო სრულიად არადემოკრატიული, არაგამჭვირვალე, ვადაში შეზღუდული და ისეთ დროს წარმართული, — აგვისტოს თვეს ვგულისხმობ, - როცა საზოგადოების აქტიურობა ვერც მაღალი და ვერც ეფექტური ვერ იქნებოდა. აგვისტოში საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება ყველაზე მინიმალიზებულია.

და კიდევ, კომისიის შემაჯამებელმა სხდომამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს ხელისუფლება არანაირი დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებას არ აპირებს. ვითარებაში, როცა კომისია ასე უმნიშვნელოდ თვლის საერთო-სახალხო განხილვის შედეგად შეკრებილ არგუმენტებს და მოსაზრებებს და მათთვის ანგარიშის გაწევას არ აპირებს, სამწუხაროდ, ვერანაირი დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე ვერ ვილაპარაკებთ.

ახლა რაც შეეხება არსობრივად იმას, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტი ხელისუფლების შტოებს შორის დაბალანსებისკენ არის მიმართული. ამ და ვერც ერთ სხვა ამოცანას შემოთავაზებული პროექტი ვერ უპასუხებს. არსებულ ვითარებაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტი ან ევროპული, ანდა დემოკრატიული მოდელია და კონსტიტუციურ რეფორმაზეა ორიენტირებული.

**კობა ბენდელიანი**

## სამშენებლო სექტორი

# „ცენტრ პოინტ ჯგუფი“: გენერალური შეტევა მონუსხული წრის გასარღვევად,

## ანუ დეველოპერული კომპანიის სამი ძირითადი პრიორიტეტი

*ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი უკლებლივ ყველა სფეროს შეეხო, რამაც უაღრესად ნეგატიური გავლენა მოახდინა მრეწველობის სხვებზე უფრო წარმატებულ, დინამიურად განვითარებად სექტორებზე. უარყოფითი შედეგები, ცხადია, ამა თუ იმ დარგის კომპანიებსა და მომხმარებლებზეც აისახა, რის გამო ბევრი ფირმა გაკოტრდა, უფრო ძლიერები კი გამუდმებით ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგანან და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნაში არიან, რათა თავიც გადაირჩინონ და ნაკისრი ვალდებულებებიც პირნათლად შეასრულონ როგორც კრედიტორების, ისე მომხმარებლის წინაშე.*

*ეს არის ის მთავარი მიზეზი, რამაც რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ საინვესტიციო და დეველოპერული კომპანიის „დექსუსის“ სამი წლით მართვაში გადასვლა განაპირობა, რის თაობაზე სათანადო ხელშეკრულება გაფორმდა (ამაზე ჩვენი გაზეთის 11 სექტემბრის ნომერში ვწერდით) და, დაპირებისამებრ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად მოგახსენებთ რაც, პირველ ყოვლისა, კომპანიის კლიენტებს დააინტერესებთ, და რის თაობაზეც „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ გენერალურ დირექტორს ვახტანგ რჩეულიშვილს ვესაუბრეთ.*



— „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ საინვესტიციო და დეველოპერული კომპანია „დექსუსის“ სამწლიან მართვაში გადაცემა, რომელმაც ჩვენი ყველა პროექტი და მათთან დაკავშირებული ვალდებულებები გადაიბარა, პირველ ყოვლისა, ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობა, რადგან კომპანიას ბოლო წლების მანძილზე იმდენი ვალდებულება დაუგროვდა, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად რაღაც რადიკალური ზომები უნდა მიგვეღო, — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ვახტანგ რჩეულიშვილმა. — საქმე ის არის, რომ მიუხედავად კერძო ბინების აშენების თაობაზე „ცენტრ პოინტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებებისა, დარჩენილ თანხებს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ან არ იხდის. უნდა გითხრათ, რომ სხვა სამშენებლო კომპანიებთან შედარებით „ცენტრ პოინტის“ ასაშენებელ ბინებზე ყველაზე მეტი კონტრაქტი ჰქონდა დადებული და თუ 2007 წელს მოსახლეობა, პირობების თანახმად, გადასახდელი თანხების 92 პროცენტს იხდიდა, შემდგომ, ამ მაჩვენებელმა კატასტროფული კლება დაიწყო.

იხ. 8 გვ.

განხილვა

# საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტის (2010 წ.) კომენტარი

**2.7. სასამართლო ხელისუფლება** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები 30 – 33)

რამდენიმე ცვლილება შეეხო სასამართლო ხელისუფლების ნაწილს.

საერთო სასამართლოს მოსამართლის ასაკობრივი ცენზის გაზრდა 30 წლის ასაკამდე (კონსტიტუცია, მუხლი 86, პუნქტი 1), ანუ როგორც ეს იყო 2006 წლამდე, სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია. თუმცა, გაუგებარია, რატომ არ აღდგა 2006 წლამდე არსებული ასაკობრივი ცენზი (35 წელი) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისთვის? ამ სასამართლოს გადასაწყვეტი საკითხების საზოგადო მნიშვნელობისა და სირთულის გამო მოსამართლეს ხომ განსაკუთრებული ცოდნა და დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს?

რაც შეეხება მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, გამწესებას (კონსტიტუცია, მუხლი 86, პუნქტი 2), ფრიად საკამათოა მისი მიზანშეწონილობა. თავს უფლებას მივცემთ, მოვიყვანოთ ციტატა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფციიდან“*:

„სასამართლოსა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უძლიერეს გარანტიას უდავოდ თანამდებობაზე მოსამართლეთა უვადო გამწესების პრინციპი წარმოადგენს. ამიტომ გულდასმით უნდა შემოწმდეს: ხომ არ ეწინააღმდეგება მისი შემოღება სასამართლო სისტემისადმი წაყენებულ სხვა აუცილებელ მოთხოვნებს; ან კიდევ – ნებისმიერ სხვა გონივრულ მოსაზრებას?

როგორც ირკვევა, ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც კონკრეტული მოთხოვნა, ერთი შეხედვით, გამორიცხავს სხვა მოთხოვნებთან მის აშკარა დაპირისპირებას ან შეუთავსებლობას; თუმცა, მისი დანერგვა და განხორციელება პრინციპულად ეწინააღმდეგება იმ საყოველთაოდ აღიარებულ მიზნებს, რომლებსაც ყველა ეს მოთხოვნა მათ ერთობლიობაში ემსახურება. ეს გახლავთ ძლიერი და ჯანსაღი; პრესტიჟული და ავტორიტეტული; უმწიკვლო, ხალხის ნდობით აღჭურვილი სასამართლო და მართლმსაჯულება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

ჩვენში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა და დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციურ, ღირსეულ მოსამართლეთა მეტ-ნაკლებად სრული კორპუსი. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი შემჩნეული და ხალხის მიერ მხილებულია ხელისუფლებისადმი მეტისმეტ „მორჩილებაში“. შესაბამისად, დაბალია მათდამი ხალხის ნდობის ხარისხი. ცხადია, ასეთ მოსამართლეთა სამისდღეშიოდ გამწესება უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივ პოსტზე, სწორედ „მორჩილ“ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და „მორჩილებისათვის“ მათი საშვილიშვილოდ მომადლიერების ერთობ ტლანქი დემონსტრაცია იქნებოდა, ყოვლად გაუმართლებელი, დაუსაბუთებელი და უსამართლო. უვადობის ფაქტორი განუსაზღვრელი ვადით დაუხშობდა სასამართლოს კარს ახალგაზრდა, ნიჭიერ, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ და გაწრთვნილ – განათლებულ იურისტთა თაობებს, რითაც განუზომელი ზიანი მიადგებოდა ქართულ მართლმსაჯულებას, თანაც – დიდი მორალური დანაკარგებით. ამის შესაბამისად, არც ის არის გამორიცხული, ჩაისახოს პერსპექტიულ იურისტთა კადრების გადინებისა თუ სხვა მრავალი არაჯანსაღი ტენდენცია, რომელთაგან ზოგიერთის წინასწარ განჭვრეტა შესაძლოა არც კი იყოს შესაძლებელი“.

ასევე საეჭვოდ მიგვაჩნია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიზანშეწონილობა.**

გაუმართლებლად მიგვაჩნია კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან იმ ნორმის ამოღება, რომელიც კრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევას. ეს ცვლილება ხელს შეუწყობს სასამართლოს თავმჯდომარის დომინანტური მდგომარეობის შექმნას საპირისპიროდ სასურველი კოლეგიური მდგომარეობისა.

სავსებით სწორია საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლების მინიჭება თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის – საკრებულოსთვის და წარდგინების უფლების მინიჭება – იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის.

**2.8. სახელმწიფო ბიუჯეტი** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 34)

გაუმჯობესდა კონსტიტუციის 93-ე მუხლი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადებისა და მიღების საკითხს ეხება. მაგრამ განუსაზღვრელი დარჩა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანგარიშის წარსადგენად 5 თვე მეტისმეტად დიდი დროა. ასევე გაუგებარია, რა მოხდება, თუ პარლამენტი არ მიიღებს ბიუჯეტის კანონს? ხომ არ შეიძლება, ქვეყანამ წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით იცხოვროს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში? ხომ ისიც ცხადია, რომ ასეთი ვითარება ან მთავრობის უპასუხისმგებლობის, ანდა პარლამენტის უუნარობის გამო შეიძლება შეიქმნას? როგორია ამ დროს პასუხისმგებლობა და ვინ წყვეტს მისი დაკისრების საკითხს? წარმოდგენილი პროექტი არც ერთ ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა.

საკითხს ასე იმიტომ ვსვამთ, რომ ბიუჯეტის კანონი ყველა სხვა კანონისაგან განსხვავებული, სპეციფიკური კანონია და მის მიმართ ასევე სპეციფიკური მიდგომაა საჭირო. რადგან წარმოდგენილი პროექტი ასეთ განსაკუთრებულ წესს არ შეიცავს, ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ ბიუჯეტის კანონისადმი მიდგომა ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც ნებისმიერი სხვა კანონისადმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ პარლამენტი არ მიიღებს მთავრობის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის კანონს, თუნდაც სავსებით არგუმენტირებულად, მთავრობას შეეძლება მისი „შანტაჟირება“ ნდობის საკითხის დასმის მეშვეობით. ეს კი აბსოლუტურად მიუღებელია – ისტორიულად და ტრადიციულად, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ბიუჯეტის მიღება პარლამენტის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა!

**2.9. ადგილობრივი თვითმმართველობა** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 36)

წარმოდგენილი პროექტით კონსტიტუციას ემატება ახალი თავი – ადგილობრივი თვითმმართველობა. ამ მნიშვნელოვან თემას სულ სამი მუხლი ეძღვნება (მუხლები: $101^{1}$, $101^{2}$ და $101^{3}$). ამ მუხლებში ჩამოთვლილია მხოლოდ თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები, ხოლო სხვა ყველაფრის განსაზღვრა კანონზეა გადაკისრებული. ამრიგად, კვლავ დაუდგენელი რჩება თვითმმართველობის კონსტიტუციური გარანტიები. ისიც კი არ არის განსაზღვრული, როგორია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, რა თვითმმართველი ერთეულები იქნება და რამდენდონიანი იქნება თვითმმართველი ერთეულების სისტემა. არაფერია ნათქვამი თვითმმართველი ერთეულების გარანტირებული საბიუჯეტო შემოსავლების თაობაზე. ყოველივე ამის გარეშე კი რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება და განვითარება მეტად საეჭვო იქნება.

**2.10. კონსტიტუციის გადასინჯვა** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 37)

ერთადერთი, რაც კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურაში შეიცვალა, არის ის, რომ კონსტიტუციაში ცვლილებას პარლამენტი სწრაფად ვეღარ შეიტანს – ცვლილებას კენჭი უნდა ეყაროს ორ მომდევნო სესიაზე, სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით. სხვა მხრივ კი მისი შეცვლა დღევანდელივით ადვილი რჩება და პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით მოსული პარტია ისევე მარტივად შეძლებს თავის სურვილებზე მის მორგებას, როგორც ამას ბოლო 6 წელი აკეთებდა.




**2.11. წარმოდგენილ ცვლილებათა ძალაში შესვლა** (პროექტი, მუხლი 3)

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც შეიქმნა წარმოდგენილი პროექტი, თანახმად ხელისუფლების განცხადებისა, იყო ხელისუფლების განშტოებათა შორის არსებული დარღვეული წონასწორობის აღდგენა. თუ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მის მიერ დეკლარირებული მიზანი – ქვეყნის თანამედროვე, მდგრადი და სტაბილური განვითარების, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ცივილური ურთიერთობების უზრუნველყოფა – მიიღწევა წარმოდგენილ ცვლილებათა მიღებით, სრულიად გაუმართლებელია მათი ამოქმედების დააყოვნება 3 წლით (2013 წლის 1 დეკემბრამდე). სხვა საქმეა, ჩვენ მიგვაჩნია თუ არა, რომ ამ პროექტით შესრულდება ეს ამოცანა.

**3. დასკვნა**

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით არათუ ვერ მიიღწევა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მიზანი, არამედ კვლავ გვექნება სახელისუფლებო განშტოებათა არაეფექტიანი, გაუწონასწორებული და მრავალი რისკის შემცველი სისტემა, რომელშიც დომინანტურ როლს ამჯერად არა პრეზიდენტი, არამედ მთავრობა შეასრულებს.

მართალია, მთავრობის შექმნა პარლამენტის ხელში გადადის, მაგრამ პარლამენტის მიერ მთავრობისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, რაც მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებითა და ნდობაზე უარის თქმით ხორციელდება, იმდენად გართულებულია, რომ რეალურად შეუძლებელს ხდის მთავრობის გადაყენებას. ამით მკვეთრად სუსტდება ხელისუფლების განშტოებათა მიერ ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების (შეკავების) შესაძლებლობა, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია (მაგალითისთვის ვიტყვით, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პარლამენტის მიერ მთავრობის გადაყენების შეუძლებლობა წონასწორდება პარლამენტის დათხოვნის შეუძლებლობით, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკებში პარლამენტის მიერ მთავრობის გადაყენების უფლება გაწონასწორებულია ქმედუუნარო პარლამენტის დათხოვნის უფლებით).

მიუხედავად პრეზიდენტის აღმასრულებელი უფლებამოსილების მკვეთრად შეზღუდვისა, მას რჩება მთელი რიგი ისეთი უფლებებისა, რომელთა გამოყენებამ შეიძლება მკვეთრი დისონანსი შეიტანოს მთავრობის და, საზოგადოდ, მთელი ხელისუფლების საქმიანობაში და გამოიწვიოს მძაფრი პოლიტიკური კრიზისი.

ამ საერთო შეფასებას ვერ აუმჯობესებს რამდენიმე ნორმა, რომლებიც სავსებით მისაღები და საჭიროა.

პროექტში არაფერია ნათქვამი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საპარლამენტო ოპოზიციის უფლებები, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის თანამშრომლობის ხელშემწყობი საშუალებები, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, საარჩევნო სისტემა, სამართლიანი საარჩევნო გარემოს არსებობის გარანტიები, ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სოციალური გარანტიები და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის გარანტიები; არ არის შემოღებული ხელისუფლების ბოჭვის ქმედითი საშუალებები.

ზემოაღნიშნული საკითხები უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან:

ა) ის, თუ როგორაა გამიჯნული და გადანაწილებული სახელმწიფო ხელისუფლება, რამდენად ეფექტიანია კონტროლისა და გაწონასწორების (ურთიერთშეკავების) მექანიზმები, რამდენად გარდაუვალია ხელისუფლების განშტოებათა თანამშრომლობა, რამდენად უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემა უმცირესობის (ოპოზიციის) წარმომადგენლობას, – განაპირობებს მმართველობის ეფექტიანობის ხარისხს, სტაბილურობის დონეს და პოლიტიკური კრიზისის მდგომარეობიდან „რბილად“ გამოსვლის შესაძლებლობას ან შეუძლებლობას, ხოლო

ბ) ის, თუ რამდენად ქმედითია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ხელისუფლების ბოჭვის საშუალებები, როგორია ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სოციალური გარანტიები და როგორია გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის გარანტიები, განაპირობებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ხარისხს, მისი ცხოვრების ხარისხსა და ახლანდელი და მომავალი თაობების განვითარების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო უნდა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ოდნავადაც არ იძლევა დასმული ამოცანის – ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვის, სახელისუფლებო განშტოებათა ეფექტიანი, გაწონასწორებული სისტემის შექმნისა და კონსტიტუციის სხვა დებულებათა ახლებური ხედვის – გადაჭრის შესაძლებლობას და, მიუხედავად არსებული კონსტიტუციური სისტემის შეცვლის აუცილებლობისა, მისი მიღება არათუ არ გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას, არამედ შესაძლოა უფრო დაამძიმოს იგი. შემოთავაზებული სისტემა იმდენად ნაკლოვანია, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია მისი გაკეთილშობილება საპარლამენტო განხილვის დროს. აუცილებელია კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხელახლა გააზრება, ხელისუფლების გაწონასწორებული მოდელის შექმნა და იმ საკითხების გადაჭრა, რომლებსაც წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეხებია და რომლებიც სრულიად აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის.

**ვახტანგ ხმალაძე,**
**ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი;**

**ზურაბ ჯიბღაშვილი,**
**კონსტიტუციური სამართლის დოქტორანტი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიების წევრი.**

---

*** საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია. „ინტელექტი+“, თბილისი, 2010 წ.**

**** არგუმენტებისათვის იხ. ზემოთ დასახელებული „გაფართოებული კონცეფცია“.**

---

**დასარული. დასაწყისი იხ. „სრ“ №171-172.**

◎ გლობუსი

# მძიმედ გასახსენებელი 11 სექტემბერი

***11 სექტემბერს აშშ-მა და მსოფლიომ 2001 წლის ტერორისტული თავდასხმის მსხვერპლნი გაიხსენა. 9 წელი გავიდა საზარელი მოვლენიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მსოფლიო გამოწვევას ტერორიზმის სახით. აშშ-ზე განხორციელებული თავდასხმა არა მარტო მოულოდნელი, არამედ დაუჯერებელი იყო მსოფლიო საზოგადოებისთვის. თვითმხილველებსაც ვერაფრით წარმოედგინათ, რომ ასეთის გაკეთება ერთ მუჭა ტერორისტულ დაჯგუფებასაც ხელეწიფებოდა. ამ ტერორისტულმა აქტმა კარდინალურად შეცვალა საუკუნეთა განმავლობაში მსოფლიოში გაბატონებული აგრესორი ქვეყნის ფაქტორი, წინ წამოსწია ახალი, უხილავი მტრის, ტერორისტის მცნება დედამიწაზე და იგი მანამდე არსებულ სახელმწიფოთა შორის ომის მცნებას გაუტოლა.***

მსოფლიოს პირველ სახელმწიფოზე ხელის აღმართვამ იმდენად დააბნია, შეაშინა და დააეჭვა ომის ჭირვარამგამოუვლელი ამერიკელი, რომ მრავალ ეჭვსა თუ მოსაზრებას მიეცა ფართო გზა, მათ შორის ისეთსაც, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ საკუთარ ქვეყანას მოუწყო მწარე გამოცდა, რაც მსოფლიოზე აშშ-ის ახალი, ძალისმიერ-პოლიტიკური შეტევის საბაბია. აშშ-ის ძლევამოსილებაში დარწმუნებული ამერიკელისთვის სხვაზე ფიქრი წარმოუდგენელი იყო – თუ ვინმეს შეეძლო მათ წინააღმდეგ ხელის აღმართვა, ეს ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდეგ რუსეთი იყო.

მრავალი წიგნი და საგაზეთო სტატია მიეძღვნა საკუთარ თავზე მოწყობილ თავდასხმას, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო სახელმწიფო მოხელეთა გულგრილობის ფაქტებმა. ერთ-ერთ მათგანზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. აშშ-ის ადმინისტრაციას 11 სექტემბრამდე ჰქონდა ინფორმაცია, რომლის გაანალიზების შემთხვევაში ტერაქტის შეჩერება შესაძლებელი იქნებოდა. ფონდ „მარკელის“ გამოკვლევის მიხედვით და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემების გათვალსწინებით დადგენილია, რომ 2001 წლის აგვისტოს ბოლოს ნავაზ ალხაზმიმ და ჰალიდ ალმიდრაჰმა ბილეთები შეიძინეს ავიაკომპანია „ამერიკან ეარლაინსის“ 77 რეისზე, ეს რეისი შემდგომში გამოყენებულ იქნა პენტაგონზე თავდასხმის დროს. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ პირთა გვარები შეტანილი იყო განსაკუთრებით საშიშ ტერორისტთა სიაში, თავში აზრად არავის მოსვლია შემოწმება, რითაც ბევრი რამ გამოირკვეოდა. უპირველესად ის, რომ აღნიშნული პირები ერთ მისამართზე ცხოვრობდნენ, ისევე, როგორც ტერორისტული აქტის მთავარი „გმირები“ მოჰამედ აგტა და მარვინ ალ შეჰი – მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენზე თავდამსხმელები.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო კარდინალურად შეიცვალა. ტერაქტით შეურაცხყოფილმა აშშ-ის ადმინისტრაციამ შურისძიების მთელი რიგი გეგმები შეიმუშავა, რომელთა განხორციელებისთვის მსოფლიო თანამეგობრობას სთხოვა თანაგრძნობა და დახმარება. თავდასხმის ობიექტიც უმალ გამოიძებნა ერაყის სახით. **ერთ დროს ამერიკელ ხელისუფალთა ძმამ და მეგობარმა, ერაყელმა დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა, გადაწყვიტა რა დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება, ვერ მოზომა საკუთარი შესაძლებლობები და ჯერ უფროს ბუშს, შემდეგ უმცროსს დაუპირისპირდა. ოფიციალურმა ვაშინგტონმა ყოფილ მოკავშირეს არ აპატია სიჯიუტე. მან უმალ დაივიწყა ერაყ-ირანის ომი, ამერიკელთა მიერ ინსპირირებული და სადამ ჰუსეინის ხელით განხორციელებული. მაშინ ვაშინგტონისთვის შეურაცხმყოფელი იყო ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვება ქვეყანაში, სადაც მისი ჯილა – შაჰი ბატონობდა. შეურაცხმყოფელი იყო თეირანში აშშ-ის საელჩოს თანამშრომელთა ხანგრძლივი ბლოკადა აჯანყებული ირანელი**



**ახალგაზრდების მიერ, შეურაცხმყოფელი იყო ირანის ახალი ხელისუფლების ანტიამერიკული განცხადებები, რომელმაც აშშ ნომერ პირველ მტრად და ეშმაკად გამოაცხადა.**

ამ და სხვათა გამო სასწრაფოდ იქნა შემუშავებული გეგმა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის მტკიცე მოკავშირე ერაყის ირანზე თავდასხმა. 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ომი. ირანის ახალგაზრდა ისლამურ რესპუბლიკას სადამ ჰუსეინის ხელით არა მარტო აშშ ეომებოდა, არამედ ამერიკელთა წაქეზებით მრავალი ქვეყანა. სადამ ჰუსეინის მიერ საომარი მოქმედების დროს არაერთხელ იქნა გამოყენებული აშშ-ის მიერ ერაყისათვის მიცემული ქიმიური და სხვა სახის იარაღი. მიუხედავად სერიოზული ზეწოლისა, შეუძლებელი გახდა ირანის ისლამური რესპუბლიკის წაქცევა, სამაგიეროდ ამერიკელთა წყალობით გამოწვეული ომით მსოფლიო უსაფრთხოება ერთიორად გაუარესდა. **სადამ ჰუსეინის მიერ ამერიკელთათვის გაწეული დახმარების მიუხედავად ვაშინგტონმა არ აპატია ერაყს საკუთარი ორბიტიდან ჩამოშორება და უმალ შეარჩია ის ომის სამიზნედ, ცხადია, ნომერ პირველ ტერორისტ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ გამოზრდილ ბინ ლადენთან ერთად. საბაბიც გამოიძებნა – სადამ ჰუსეინის მიერ ბირთვული და ქიმიური იარაღის დამზადება.**

ერაყის ომის დაწყებამდე ცსს-ის ანალიტიკოსები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ თეთრი სახლის მიერ შეთხზულ ვერსიას სადამ ჰუსეინისა და ბინ ლადენის მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე, თუმცა ცსს-მ ბოლომდე ვერ გაუძლო თეთრი სახლის ზეწოლას და საბოლოოდ ხელი აიღო ბუშის გადარწმუნებიდან. **რამ შეაშინა უშიშარი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, თვით, რომ შიშის ზარს სცემს ყველას? უბრალო ადამიანურმა ფაქტორმა – სამმართველოს მუშაკებს დაემუქრა თეთრი სახლი – საწინააღმდეგო ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში არც ერთი თანამშრომელი ხელფასს არ მიიღებდა, არც დაწინაურებაზე უნდა ეფიქრათ მათ. ძველი რომის ფილოსოფოს ლაქტანცის არ იყოს, „იქ, სადაც შიშია, სიბრძნის ადგილი არ არის“.**

აშშ-ის პრეზიდენტმა დაარწმუნა აშშ-ის და მსოფლიოს მოსახლეობა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის ერთ-ერთი მონაწილე სადამ ჰუსეინი იყო, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს არაფერი აკავშირებდა მასთან. **ბუშმა დათესა ომის მარცვალი და მიიღო ქარიშხალი. ომის დამპალმა ხემ, რომელიც ტყუილზე იყო დაფუძნებული, ისეთი ნაყოფი გამოიღო, როგორიცაა აბუ გრეიბისა და გუანტანამოს ციხეები, იქ მყოფთა წამებითა და შეურაცხყოფით, მსოფლიოს ეკონომიკური დაცემა, ასეულ ათასობით ადამიანის განსაკუთრებით ერაყელთა მსხვერპლი და სხვა.**

ნიუტონის მიხედვით: „ყველა მოქმედებას, ყოველთვის მოჰყვება საწინააღმდეგო მოქმედება“. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება შორსაა ფიზიკისაგან, თუმცა ლოგიკური აზროვნების პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკაშიც. **პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ თუ რომელიმე ერი შეეცდება დომინირება მოახდინოს მეორეზე, მას ყოველთვის შეხვდება წინააღმდეგობა.** ბუშის ადმინისტრაციის უმთავრესი მიზანი იყო საერთაშორისო არენაზე აშშ-ის დომინანტობა. მან გვერდი აუარა გაეროს, რითაც უდიდესი ზიანი მიაყენა, როგორც საკუთარ თავს, ისე მოკავშირულ ურთიერთობებს, საერთაშორისო სამართალს. ხელი შეუწყო მსოფლიოში ამერიკის მიმართ სიძულვილის გაღვივებას. **„ბუშის ადმინისტრაციამ შეურაცხყო ამერიკა, ჩირქი მოსცხო ისეთ ცნებებს, როგორებიცაა თავისუფლება და ადამიანის უფლებები, სწორედ იმას, რაც ამერიკის გლობალური მისიაა“, – წერს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი ალბერტ გორი.**

ბუშის მიერ დაწყებულმა ომებმა ერაყსა და ავღანეთში, ნეგატიურმა საბიუჯეტო პოლიტიკამ, რომელმაც 5 ტრილიონი პროფიციტის მქონე ქვეყანა, 4 ტრილიონი დეფიციტის მქონე ქვეყნად აქცია, არა მარტო აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა დააზიანა, არამედ მოკავშირეებისაც.

ბუშის პროპაგანდამ ტერორიზმის საფრთხესთან დაკავშირებით იმდენად დააშინა ამერიკელები, რომ მათი ყურადღება ყოველდღიური პრობლემებიდან ტერორიზმზე გადავიდა. მოსახლეობა ნაკლებ დროს უთმობდა 2002 წლიდან ქვეყანაში გაჩენილ ეკონომიკურ პრობლემებს. ყოველივე აღნიშნულმა 2010 წლისთვის ერთ დროს მსოფლიოს ეკონომიკურ ლოკომოტივად ცნობილი ქვეყანა სერიოზულად დააძაბუნა. მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივად დღეს ჩინეთს მოიხსენიებენ.

**როდესაც ხალხი მოკლებულია ინფორმაციას, მას არ ძალუძს ხელისუფლების გაკონტროლება, ხელისუფლება კი შეიძლება იყოს ან კორუმპირებული ან არაკომპეტენტური, ან ორივე ერთად. სწორედ ასე იყო ბუშის ამერიკაში. და არა მარტო იქ, არამედ მის სტრატეგიულ პარტნიორ საქართველოშიც. მხოლოდ ხელისუფლების სასარგებლო ინფორმაციით დატვირთულ საქართველოს მოსახლეობას თავი აღარ აქვს არც პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზის და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგრძნების. ბუშის პროპაგანდამ – ერაყის მხრიდან აშშ-ზე ბირთვული თავდასხმის გარდუვალობის თაობაზე ამერიკელთა თითქმის ნახევარი დაარწმუნა, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტი – 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებაში. დღეს არც ერთის სჯერათ და არც მეორესი, თუმცა გვიან არის. ბინძური საქმე გაკეთებულია.**

2010 წლის 11 სექტემბერი სხვა ამერიკამ აღნიშნა – დაპირისპირებულმა, ორ ომში ჩაფლულმა, ეკონომიკური სტაგნაციით და უმუშევრობის მაღალი, (9-6ძ პროცენტით შეწუხებულმა. პრეზიდენტ ბარაკ ობამასათვის ძნელი გამოდგა წინამორბედის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომების გამოსწორება. რის ვაი-ვაგლახით ერაყის ომი დასრულდა, თუ ამას დასრულება ჰქვია – 50.000-იანი ამერიკული სამხედრო კონტიგენტი ისევ რჩება ერაყში. თვით ერაყი სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირების არენადაა ქცეული, გამუდმებული ტერაქტებით და მსხვერპლით, ათეულ-ათასობით ერაყელი ლტოლვილით. მეორე ომი გრძელდება. სულ ახლახანს ავღანეთში ამერიკელ ჯარისკაცთა ახალი პარტია გაიგზავნა, რამაც ავღანეთში მებრძოლ ამერიკელთა რაოდენობა 150.000-მდე გაზარდა.

11 სექტემბერს ნიუ იორკის „გრაუნდ ზიროუს“ -თან ახლოს ორი ურთიერთდაპირისპირებული დემონსტრაცია დაფიქსირდა. ერთი კატეგორიულად მოითხოვდა ისლამის დაგეგმილი ცენტრის ტერორის ადგილიდან ძალიან შორს მშენებლობას, მეორე ეწინააღმდეგებოდა პირველის მოთხოვნას. მისი აზრით, დისკრიმინაციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ცეცხლზე ნავთი დაასხა ამერიკელი ღვთისმსახურის რეაქციულმა განცხადებამ ყურანის დაწვის თაობაზე. ამ ამბავმა მკვეთრი ანტიამერიკული გამოხდომები გამოიწვია მსოფლიოს მუსლიმანებში. ვითარების განსამუხტავად თვით აშშ-ის პრეზიდენტს მოუწია განცხადების გაკეთება – ამერიკას მუსლიმანობა კი არ დასხმია თავს, არამედ ტერორისტი ბინ ლადენიო.

**აშშ-ის პრეზიდენტი ლინკოლნი წერდა: „ხალხის მთავრობა, ხალხისგან და ხალხისთვის, არასდროს აღიგვება პირისაგან მიწისა“. შეძლებს აშშ-ის ადმინისტრაცია ამ სიბრძნის გათვალისწინებას?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◎ ინფორმაცია

# ხორბალზე ფასები იზრდება

უახლოეს მომავალში ხორბალზე ფასები შესაძლოა 17 %-ით გაიზარდოს, ასეთ პროგნოზს „კომერცბანკის“ ანალიტიკოსები აკეთებენ. ფასების ამგვარი ზრდის შემთხვევაში ხორბლის ფასი 2008 წლის აგვისტოს მაქსიმუმს მიაღწევს.

– ამჟამად ბაზარი მზადაა 1 ბუშელი ხორბლის ფასი 8,68 აშშ დოლარის ოდენობით განსაზღვროს, ასეთ მაღალ მაჩვენებელზე ფასი 2008 წლის აგვისტოდან არ დაფიქსირებულა- აცხადებს ექსპერტი კარენ ჯონსი.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოს ხორბლის საექსპორტო პოტენციალი 2010-2011 მარკეტინგულ წელს 1,36 მლნ. ტონით გაიზრდება და 126,03 მლნ. ტონას მიაღწევს. ბაზარზე გაძლიერდება ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების პოზიციები. აშშ საგარეო ბაზარზე 1,36 მლნ. ტონით მეტ ხორბალს გაიტანს.

ზოგადად ხორბლის მსოფლიო წარმოების პროგნოზი აგვისტოსთან შედარებით 2,72 მლნ. ტონით ნაკლებია და 643,01 მლნ. ტონაზე ფიქსირდება.

* * *

მიმდინარე მარკეტინგულ წელს ყაზახეთი საქართველოში 300-500 ათას ტონა ხორბლის ექსპორტს განახორციელებს, ამის შესახებ განცხადება სს „პროდკორპორაციის“ კომერციულმა დირექტორმა დაულეტ უვაშევმა განაცხადა.

– მიმდინარე მარკეტინგული წლის ბოლომდე საქართველოში 500 ათას ტონამდე ხორბლის ექსპორტს განვახორციელებთ, მაგრამ ეს მოცულობა განსხვავებულია იმ მოცულობისაგან რასაც აზერბაიჯანს მივაწვდით – განაცხადა უვაშევმა.

მისი განმარტებით, ყაზახური ხორბლის საქართველოში ექსპორტირება რამდენიმე გზით ხდება, მათ შორის რკინიგზის მეშვეობით რუსეთის გავლით, ბორნით - კასპიის ზღვის გავლით, და მესამე აქტაუს პორტიდან ბაქოს პორტამდე და იქიდან საქართველოსკენ.

– ხორბლის ის მოცულობა რომელიც საქართველოსთვის იქნება განკუთვნილი და მისი ტრანსპორტირება აქტაუს პორტიდან ბაქოს პორტში განხორციელდება, ის აზერბაიჯანულ-ყაზახურ წისქვილკომბინატში გადამუშავდება და ამის შემდეგ ფქვილის საქართველოს მივაწვდით – განაცხადა უვაშევმა.

საქართველო წლის განმავლობაში 800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს, რომლის 15 % ადგილზე იწარმოება.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ადამიანი დროში

**ჩვენი დროის ღვაწლმოსილ, გამოჩენილ მეცნიერს, ამაგდარ მევენახეს, ქართული ვაზის მოჭირნახულეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს, დოქტორს, პროფესორს, მევენახეთა ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, დამსახურებულ აგრონომს ნოდარ ჩხარტიშვილს, მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული ვაზის სიყვარულს, ეროვნული დარგის — მევენახეობა-მეღვინეობის — მომავლისთვის შრომასა და ძიებას მიუძღვნა, დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

# ვაზი – მისთვის ღვთით ბოძებული საჩუქარი

## კაცი, რომელიც კვლავაც ჩვეული ერთგულებით პატრონობს თითოეული ქართული ვაზის ჯიშს – ისტორიულ ძეგლს

ამ ღირსეული მამულიშვილის ფიქრი დღესაც ნიადაგ ვაზს დასტრიალებს, იგია მისი მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგანი. – ღმერთი ხომ ყველას რაღაცას უგზავნის საჩუქრად, როგორც ჩანს, ჩემი ღვთით ბოძებული საჩუქარი ვაზია და მისი სიყვარულიცა და მოვლა-პატრონობაც იმთავითვე იმიტომ დამებედაო, – ღიმილით ამბობს ბატონი ნოდარი.

ნოდარ ჩხარტიშვილი ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს, ისტორიულ სოფელ ჯუმათში, ქართული ტრადიციების მქონე დიდ, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა 1930 წლის 17 სექტემბერს. წარჩინებით დაამთავრა (1954ძ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის (აჭარაძ ზონის აგრონომად. იმავე წლის ბოლოს ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში მევენახეობის კათედრაზე. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამავე წელს დაინიშნა ამ კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე, მუხრანის სასწავლო მეურნეობაში მევენახეობის განყოფილების გამგედ, სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელად.

ბატონი ნოდარი მევენახეობის იმ ქართული სკოლის აღზრდილი და ღირსეული გამგრძელებელია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსმა სოლომონ ჩოლოყაშვილმა და პროფესორებმა ვალერიან ქანთარიამ და მაქსიმე რამიშვილმა. ბატონი ნოდარის მოღვაწეობაც, სწორედ რომ, ამ სასიქადულო მამულიშვილების ანდერძის - „თითოეული ქართული ვაზის ჯიში ისტორიული ძეგლია... ჩვენი ვალია, დავიცვათ, განვავითაროთ და მომავალ თაობებს გადავცეთ ისინი“ – ასრულებას ემსახურება და რუდუნებით ზრუნავს კიდეც თითოეული ჯიშის გადარჩენისთვის.

1964-1965 წლებში ნოდარ ჩხარტიშვილმა სამეცნიერო სტაჟირება რუმინეთში გაიარა; მუშაობდა ბუქარესტის აგრონომიულ ინსტიტუტში მევენახეობის რუმინული სკოლის ლიდერისა და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის აკადემიკოს გერასიმე კონსტანტინესკუსა და პროფესორ ტოდორ მარტინის ხელმძღვანელობით, რომლებიც თავად მიიჩნევდნენ ნოდარ ჩხარტიშვილს ამ სკოლის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენლად. იგი ამ მოკლე პერიოდში საფუძვლიანად დაეუფლა რუმინულ ენას, რითაც ღრმა პატივისცემა გამოხატა რუმინელი ხალხისა და სკოლის მიმართ.

რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ მისი საქმიანობა საბოლოოდ დაუკავშირდა მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მუშაობდა ინსტიტუტის მევენახეობის აგროტექნიკის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-მუშაკად, 1973-1974 წლებში ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში; 1974 წელს იგი აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგედ, მომდევნო წლიდან კი მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა და 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა მას (2006 წლამდეძ.

ნოდარ ჩხარტიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დამუშავდა ჯიშური, დიფერენცირებული აგროტექნიკის მეცნიერული საფუძვლები და რეკომენდაციები. შესწავლილ იქნა აბორიგენული, მცირედ გავრცელებული, უნიკალური ვაზის ჯიშების: ჩხავერის, ოჯალეშის, ალადასტურის, საფერავისა და სხვათა აგრობიოლოგიური, სამეურნეო თვისებები და მათი გაშენება-მოვლის დიფერენცირებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებები. გადაშენების გზაზე მდგარი მრავალი ჯიშის გადარჩენის, აღდგენისა და გავრცელების მეცნიერული საფუძვლები და პრაქტიკული რეკომენდაციები.



ნოდარ ჩხარტიშვილი

აკადემიკოსმა უდიდესი საკვლევ-საძიებო სამუშაო ჩაატარა ვაზის სარგავი მასალის წარმოების სფეროში. კვლევა მიმდინარეობდა ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიური სქემების, მეთოდების დასამუშავებლად და არსებულის გასაუმჯობესებლად, რაც პირველი სახელმწიფო პრემიით აღინიშნა კიდეც.

ბატონმა ნოდარმა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დიდი ნაწილი მიუძღვნა ვენახის გაშენების წესებისა და სქემების სრულყოფის, აღზრდა-ფორმირების, დატვირთვის ოპტიმიზაციის, ახალშენ ვენახში მსხმოიარობის დამაჩქარებელი აგრო და ფიტოტექნოლოგიური ღონისძიებების, ნიადაგის მოვლისა და საერთოდ, ვენახში ნიადაგის დამუშავების მინიმალიზაციის მიმართულებებს.

ნოდარ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით (იგი იყო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეძ მომზადდა კანონპროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, რომელიც 1998 წელს მიიღეს. მისივე ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შემუშავდა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კონცეფციები და პროგრამები (1995-2005 წწძ, მევენახეობის აღდგენა-რეაბილიტაციისა და განვითარების გრძელვადიანი კონცეპტუალური პროგრამა საქართველოს რესპუბლიკისთვის (2020 წლამდეძ, რომლებიც ასახავენ დარგის განვითარების პოტენციალსა და ადგილს ქვეყნის ეკონომიკაში. განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებანი, კერძოდ: მევენახეობის ძირითადი, ტრადიციული ზონებისა და მიკროზონების გეოგრაფიული საზღვრების დაზუსტება, აგროეკოლოგიური რესურსების გამოკვლევა და ჯიშური ბიოპოტენციალის შესწავლა, კომპლექსურ-სისტემური გამოკვლევების საფუძველზე უცხოეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავდა ე.წ. წარმოშობის ადგილის დასახელების მაღალხარისხოვანი სამარკო, კონტროლირებული ღვინის წარმოების დებულებები და წესები. ასევე, მთავარი პრიორიტეტული მიმართულება იყო ჯანსაღი სარგავი მასალის მეცნიერული საწარმოო ბაზის შექმნა და სხვ;

სწორედ ამ მიზნით, ბატონი ნოდარის ინიციატივით, ინსტიტუტში შეიქმნა მცენარეთა ბიოტექნოლოგიის ლაბორატორია-საწარმო, რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ ვაზისა და ხეხილის უვირუსო სარგავი მასალის გამოყვანა ქსოვილის კულტურის ბაზაზე. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მისი ხელმძღვანელობით ამუშავდა „ზრდის რეგულატორების გამოყენება ვაზის ნამყენი ნერგის გამოყვანის საქმეში“, პარალელურად იგი ვენახის საყრდენის გამარტივებისა და შპალერული სისტემის აგროტექნიკური საფუძვლების დამუშავების მიმართულებით დაწყებულ სამუშაოებსაც ჩაუდგა სათავეში.

გასული საუკუნის ბოლოდან მისი მთავარი საზრუნავი ქართული ვაზის ჯიშების, მსოფლიოში უმდიდრესი გენოფონდის გადარჩენა გახდა. მცენარეთა გენოფონდის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „იპგრის“ მხარდაჭერით ბატონ ნოდარს საერთაშორისო პროექტის კოორდინატორობა დაეკისრა. ამავე პროექტით ინსტიტუტის თბილისის ექსპერიმენტულ ბაზაზე (ვაშლიჯვარი) 400-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიში იქნა თავმოყრილი. 150 ქართული ვაზის ჯიში გაშენდა იტალიის საერთაშორისო კოლექციაში; 200-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიში დარეგისტრირდა საერთაშორისო კატალოგში. ამ საქმიანობის გვირგვინია 2003 და 2009 წლებში იტალიურ ენაზე აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის თანაავტორობით გამოცემული კაპიტალური, 1000-გვერდიანი ილუსტრირებული წიგნი - „ვაზი და ადამიანი“ („აღმოსავლეთის ამპელოგრაფია“), რომელშიც საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის პირველად კერადაა მიჩნეული.

აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა 200-მდე მეცნიერულ ნაშრომსა და მონოგრაფიებში, რომელთაგან 14 საზღვარგარეთ, რამდენიმე უცხო ენაზე გამოიცა. 20-ზე მეტი მეცნიერული რეკომენდაცია კი დაინერგა წარმოებაში, რაც წაადგა მევენახეობის დარგის განვითარებას. მისი დიდი ღვაწლის გათვალისწინებით, ამაგდარი მეცნიერი საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს.

მრავალი წლის განმავლობაში ბატონი ნოდარი მევენახეობა-მეღვინეობისა და მეხილეობის ენციკლოპედიებისა და ამ დარგების უცხოური და ქართული ჟურნალების რედკოლეგიების უცვლელი წევრი იყო. იგი, როგორც დარგის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერ-ექსპერტი, მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს მევენახეობა-მეღვინეობის ხაზით ჩატარებულ არა ერთი საერთაშორისო სიმპოზიუმისა თუ კონგრესის მუშაობაში, სადაც გამოდის მოხსენებებით.

ამ ქართველი მეცნიერის საერთაშორისო ავტორიტეტზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იგი მევენახეთა და მეღვინეთა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ბატონი ნოდარი არაერთხელ იყო მიწვეული მოხსენებებისა და ლექციების წასაკითხად საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, ჩინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთსა და სხვაგან. ყველგან, სადაც კი სიტყვა მიუწვდებოდა, ნოდარ ჩხარტიშვილი ქართული ვაზის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა, აცნობდა საზოგადოებას მევენახეობა-მეღვინეობის უძველეს ქართულ ტრადიციებს, აბორიგენულ ქართულ ჯიშებს.

ბატონი ნოდარის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა სამუშაოები მთელი რიგი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების გაფართოება-გამტკიცებისთვის: ინსტიტუტის სისტემაში კახეთისა (თელავისძ და იმერეთის (საქარისძ საცდელი სადგურების ბაზებზე შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები; მათ შეუერთდა სანერგე მეურნეობები და თელავისა და ვაჭევის ღვინის ქარხნები; გაიშალა მასშტაბური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

და ბოლოს, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული მასშტაბური რეფორმის შედეგად ინსტიტუტი ერთ-ერთ სამოდელო ობიექტად იქცა არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ინსტიტუტის დირექტორი კი ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმატორად იქნა აღიარებული, რასაც ადასტურებს საერთაშორისო კონსულტანტ-დოქტორ ბატონი ჯონ დოდსის სიტყვები: **„მიღწეულია უდიდესი პროგრესი... იშვიათად მინახავს ასეთი მაღალი ხარისხის სამუშაოს ასეთ პროფესიონალურ დონეზე შესრულება. განსაკუთრებული აღიარების ღირსია ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, რომელმაც წარმატებით გადაწყვიტა ურთულესი საკითხები.“**

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა და ახლაც უთმობს დარგისთვის ახალგაზრდა კადრების მომზადებას. იგი რამდენიმე ათეული წელია ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო დღევანდელ აგრარულ უნივერსიტეტში მევენახეობა-მეღვინეობის კათედრაზე, იგი დღემდე არის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული ამავე პროფილის სასწავლო ინსტიტუტის რექტორი და უშურველად გადასცემს ახალგაზრდებს უმდიდრეს ცოდნასა და გამოცდილებას. ბატონი ნოდარი თელავის ი. გოგებაშვილის უნივერსიტეტის პროფესორია, სადაც მიჰყავს მევენახეობის კურსი, ხელმძღვანელობს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადებას.

ბატონი ნოდარის აღზრდილია არა ერთი გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია., მრავალი წლის განმავლობაში იყო ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. იგი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენებს იმ ადამიანებს, რომელთაგანაც მან არა მხოლოდ ცოდნა, არამედ ბევრი ძვირფასი პიროვნული თვისებაც შეიძინა, ასე დადებითად რომ ახასიათებს მას, როგორც სპეტაკ ადამიანს.

2006 წლიდან ბატონი ნოდარი, როგორც მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წლების მანძილზე იაპონიის ალკოჰოლიანი სასმელების ასოციაციის „კიკი საკეს“ საპატიო წევრი დღესაც აქტიურად და ჩვეული შემართებით განაგრძობს მოღვაწეობას; ამჟამად თანამშრომლობს სხვადასხვა წამყვან კომპანიებთან და კონსულტაციებს უწევს მათ თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში.

ბატონო ნოდარ! ხანდაზმულობის მიუხედავად, ისეთი ღვთივკურთხეული ადამიანი ბრძანდებით, და ისეთი უზარმაზარი შემოქმედებითი ენერგია გაქვთ, დარწმუნებული ვართ, რომ კვლავაც დიდხანს ჩვეული სიყვარულითა და ერთგულებით გააგრძელებთ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საქართველოს აგრარული სამყაროს მევენახეთა და მეღვინეთა დარგის სპეციალისტები, კოლეგები, მეგობრები, მეცნიერები გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, კეთილდღეობას და წარმატებებს პირად ცხოვრებაში, სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

**შოთა ჭალაგანიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;**

**ჯუმბერ ონიანი,**
**საქართველოს მებაღეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;**

**მიხეილ ვარძელაშვილი,**
**საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი.**

◉ ინფორმაცია

# სომხეთში რუსეთიდან გაზის მიწოდება დროებით შეწყვეტილია



**საქართველოს** **გავლით, სომხეთს რუსული გაზის მიწოდება 17 სექტემბრამდე შეუწყდა, რის მიზეზადაც მაგისტრალურ გაზსადენზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელდება.**

**სომხურ-რუსული კომპანიის „არმროსგაზპრომის“ ინფორმაციით, 15-დან 17 სექტემბრამდე საქართველოს გავლით სომხეთისათვის გაზის მიწოდება გაზსადენით „ჩრდილოეთ კავკასია ამიერკავკასია“ სრულად შეწყვეტილია პროფილაქტიკური სამუშაოების გამო.**

**კომპანიაში აცხადებენ, რომ მიწოდების შეწყვეტა მომხმარებლებზე ასახვას ვერ პოვებს. აუცილებლობის შემთხვევაში მომხმარებლებისათვის გაზის მიწოდება აბოვიანის მიწისქვეშა გაზსაცავიდან მოხდება, რომელიც სეზონური პიკების დროს გამოიყენება.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აზერბაიჯანის გაზი რუსეთის გვერდის ავლით წავა

**14 სექტემბერს ბაქოში გაიმართა ენერგეტიკული სამიტი, რომლის დროსაც აზერბაიჯანის, საქართველოს და რუმინეთის ხელმძღვანელებმა ილხამ ალიევმა, მიხეილ სააკაშვილმა და ტრაიან ბესესკუმ გააფორმეს ხელშეკრულება გაზის ტრანსპორტირების შესახებ ევროპაში აზერბაიჯანის ტერიტორიიდან შავი ზღვით, რუსეთის გვერდის ავლით**

ამ სქემით განსაზღვრულია წელიწადში 8 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება, თუმცა პროექტს ჯერჯერობით დაფინანსება არ გააჩნია. რუსეთის ფედერაცია წინააღმდეგობას არ გაუწევს ამ პროექტს, ვინაიდან ის რესურსებს გაზსადენ ნაბუქოზე გადაიტანს. მაგრამ ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ თუ პროექტში ჩაერთვება უნგრეთი, მაშინ „გაზპრომმა“ შეიძლება დაკარგოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ბაზრის ნაწილი.

„ჩვენ აქ ისტორიას ვწერთ“, – განაცხადა ილხამ ალიევმა მემორანდუმზე ხელმოწერის დროს, რომელიც შეეხება ურთიერთგაგებას აზერბაიჯანს, საქართველოსა და რუმინეთს შორის. გუშინ შექმნილი კომპანია – აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი, რომელიც თანაბარწილად ეკუთვნით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო კომპანიას, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა და რუმინეთის სახელმწიფო კომპანიას, დაიწყებს პროექტის დამუშავებას აზერბაიჯანის გაზის ევროპაში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. კასპიის შაჰ-დენიზის საბადოდან გაზი მიეწოდება გაზსადენით ბაქო-თბილისი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ყულევის ტერმინალზე მოხდება მისი გათხევადება და ტანკერით მიეწოდება რუმინეთის კონსტანცას.



მთავარი საკითხი, რომელიც ართულებს ახალი გაზსადენის რეალიზაციას, ეს არის საიმედო სარესურსო ბაზის უქონლობა. მართალია, აზერბაიჯანის ენერგეტიკისა და მრეწველობის მინისტრმა ნათიკ ალიევმა 14 სექტემბერს განაცხადა, რომ ქვეყანას აქვს გაზის საკმარისი მარაგი ახალი პროექტისთვის მისაწოდებლად, დამოუკიდებელი ექსპერტები ეჭვს გამოთქვამენ, რომ ბაქო ვერ შეძლებს, მიაწოდოს გაზის აუცილებელი მოცულობა. დამოუკიდებელი ექსპერტი ჩინგიზ ველიევი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის წლიური მოხმარება შეადგენს 10-11 მილიარდ კუბურ მეტრს, თანაც შაჰ-დენიზში პირველი სტადიის ფარგლებში მოპოვებული გაზი შეიძლება ჩაითვალოს უკვე გაყიდულად. დიდი დაკვეთები მის შესყიდვაზე აქვთ თურქეთს და საქართველოს. ამას გარდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ბაქოში ვიზიტით ყოფნის დროს აზერბაიჯანის ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტრო მოელაპარაკა „გაზპრომს“ გაზის შესყიდვის 2 მილიარდი კუბური მეტრით გაზრის შესახებ. კიდევ 1 მილიარდს ყიდულობს ირანი.

მეორე მიზეზი, რომლის მიხედვითაც რუსეთი შეეცდება, შეაფერხოს პროექტის განხორციელება, არის ის, რომ რუსეთი რესურსებს დააბანდებს ნაბუკოს პროექტზე.

და მაინც, ახალი პროექტი მნიშვნელოვნად შეარყევს „გაზპრომის“ პოზიციას აღმოსავლეთ ევროპაში. საქმე ის არის, რომ პროექტის დახმარებით რუმინეთი თავს დააღწევს რუსული გაზის ყიდვის აუცილებლობას.

რუსეთის გაზის მონოპოლიისთვის კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის უნგრეთის გეგმები, შეუერთდეს ახალ პროექტს. ერთ-ერთი გაზეთი იტყობინებოდა, რომ ბუდაპეშტი აწარმოებს მოლაპარაკებას პროექტში მონაწილეობის თემაზე. სხვათა შორის, უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი 14 სექტემბერს მონაწილეობდა ბაქოს სამიტში. ჯერჯერობით უნგრეთი დამოკიდებულია „გაზპრომზე“: ქვეყანა წელიწადში მოიხმარს დაახლოებით 14 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს, საიდანაც 80 პროცენტს რუსეთისგან ღებულობს. მაგრამ ამჯერად უნგრეთი უერთდება გაზის ახალ სატრანსპორტო სისტემას მეზობელ სერბეთთან და ხორვატიასთან ერთად. თუ უნგრეთი შევა აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის პროექტში, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს ქვეყნები უკვე აღარ შეისყიდიან გაზს „სოუთ სტრიმისგან“.

**ნატალია გრიბი,**
**ალექსანდ გაბუევი,**
**რაფაელ მუსტაფაევი,**
**გიორგი დვალი**

Коммерсант

# რუსეთის ოკუპაცია დიდხანს არ გაგრძელდება

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, დასავლეთის ეს პრობლემური მეგობარი, რომელმაც იურისტის დიპლომი მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში, დღეს იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის, რომელმაც 2008 წლის ომში რუსეთთან დაკარგა ორი ოლქი. გთავაზობთ ამონარიდს მისი საუბრიდან ჟურნალისტ ჯერი გუოსთან**

*– ობამას ადმინისტრაციას საქართველო გამოჰყავს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის ფარგლებს გარეთ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დაივიწყეს საქართველოს შესახებ?*

– დღემდე ჩვენ ყოველთვის ვღებულობდით მხარდაჭერას ვაშინგტონიდან. ჩემი აზრით, ყველაზე დიდ იმედებს გვინერგავს ის ფაქტი, რომ ამერიკა საქართველოს საკითხს აყენებს ყოველი მაღალი დონის შეხვედრაზე. ჰილარი კლინტონმა თავისი უკანასკნელი შეხვედრის დროს რუსეთის ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე „უკანონო ოკუპაცია“ უწოდა, რაც დიპლომატიურ ენაზე საკმაოდ მკვეთრად გაისმის. ამიტომ მე არ ვეთანხმები იმ ვარაუდს, რომ აქ საქმე გვაქვს გამოდევნასთან. სინამდვილეში, საქართველო არის პოლიგონი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

*– უნდა განაახლოს თუ არა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაწევა?*

– თუ საქართველოს დაუცველად დავტოვებთ, ეს სიტუაციას ვერ იხსნის. საქართველოს არ შეუძლია თავს დაესხას რუსეთს, რუსეთისთვის კი დაუცველი საქართველო დიდი ცდუნებაა ჩვენი მთავრობის შეცვლის თვალსაზრისით სამხედრო გზით. ვლადიმერ პუტინი ყოველი არჩევნების წინ იწყებს ომს. ამჟამად, როგორც ჩანს, ის კვლავ აპირებს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე და, რასაკვირველია, ეს ჩვენ გვაღელვებს. თანამშრომლობის ფარგლებში უშიშროების დარგში ამერიკის შეერთებული შტატები, ვისი იმედიც ჩვენ გვაქვს, დაგვეხმარება თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებაში, თუმცა, ვფიქრობ, აქ ვადებს საკითხი არ შეეხება.

*– როგორ ხედავთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის გზებს, როდესაც საკითხი შეეხება ორ სადავო ტერიტორიას – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?*

– რაც აუცილებელია რომ გავაკეთოთ, ეს არის დაისვას რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი საერთაშორისო კონტროლზე. დემოკრატიული საზოგადოება ხალხს აძლევს შესაძლებლობას დაბრუნდეს თავის სახლებში, და არ ითვალისწინებს თავაშვებულობას სამხედრო ძალის გამოყენებაში უფრო სუსტი მეზობლის მიმართ. ამგვარი რამ ხდებოდა XX საუკუნეში, თუმცა მაინც სხვა ტერიტორიების დაუპყრობლად, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება შეიძლებოდეს XXI საუკუნეში. ამჟამად თითქმის 500 ათასი კაცი, უმთავრესად ქართული ეროვნებისა, აგრეთვე ესტონელებიც, ბერძნებიც, ებრაელებიც ვერ ახერხებენ თავიანთ სახლებში დაბრუნებას. დღეს აფხაზეთის მოსახლეობა 100 ათასზე ნაკლებია, სამხრეთ ოსეთისა კი 6 ათასზე ნაკლები. ეს აბსურდული სიტუაციაა.

*– თუ არის რუსეთთან ახალი კონფლიქტის ალბათობა?*

– გვინდოდა ამის თავიდან აცილება, მაგრამ რუსეთი, როგორც ჩანს, რაღაცას გეგმავს. ამ მომენტისათვის საფრთხე ნაკლებია, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. აქ დიდი დადებითი როლი შეასრულა ამერიკა-რუსეთის ძალების ბალანსმა. მაგრამ საკითხი ღიად რჩება. ამიტომ ჩვენ უნდა ფრთხილად ვიყოთ.

*– რა ურთიერთობანი აქვთ დღეს მოსკოვთან, რუსეთთან ურთიერთობათა დათბობის ფონზე, პოლონეთს, უკრაინას, აზერბაიჯანს?*

– რუსეთმა მოახდინა ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. რუსეთს აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა არა თბილისში, არამედ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ისინი უარს ამბობენ, იქონიონ საქმე კანონიერად არჩეულ მთავრობასთან. ჩვენ მზად ვართ რუსეთთან მოლაპარაკებისთვის ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერი დღის წესრიგით, მაგრამ ისინი ორმხრივ დიალოგზე არ მოდიან. ამჟამად ისინი აფხაზეთში განათავსებენ რაკეტებს ს-300.

*– თუ გაწვდით ვაშინგტონი უშიშროების რაიმე გარანტიას რუსეთის საქართველოზე ახალი თავდასხმის შემთხვევისთვის?*

– არავითარი უშიშროების ოფიციალური გარანტია არ არსებობს. 2008 წლამდე არავინ ფიქრობდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ახლა კი ხალხს უნდა ეს თავიდან აიცილოს, მათ დღეს იციან, რომ ეს შესაძლებელია.

*– მარტში თქვენ ამბობდით, უშიშროების თქვენმა თანამშრომლებმა დააკავეს კონტრაბანდისტები საიარაღო სიწმინდის იარაღით – ეს მერვე ამგვარი ინციდენტია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. ეს არის პრობლემა, რასაც თქვენი ქვეყანა ხშირად აწყდება?*

– ეს არის მუდმივი პრობლემა. საფრთხეს წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირის ბირთვული მასალა, სამხრეთ ოსეთი კი – ეს უბრალოდ შავი ხვრელია. აქ დიდი დახმარება გაგვიწია ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობამ, და ჩვენ, ასე თუ ისე, გადავკეტეთ ყველა შესაძლებელი ხვრელი.

Newsweek

# საქართველო ნატოსთან პირდაპირ კავშირზე გადის

**საქართველო ნატოსთან თანამშრომლობის ახალ დონეზე გადის. როგორც ქვეყნის პარლამენტში გვაცნობებს, სექტემბრის ბოლომდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თბილისში გახსნის „დამაკავშირებელ ოფისს“, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონტაქტებზე ბრიუსელსა და თბილისს შორის**

2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს თხოვნას, შეერთებოდა წევრობის მოქმედებათა გეგმას და შემოიფარგლა ყოველწლიური პროგრამის შეზღუდვით ურთიერთობასთან დაკავშირებით. იგივე ფორუმმა მოახდინა დეკლარირება იმისა, რომ გაურკვეველ მომავალში საქართველო შევა ნატოში, მაგრამ ეს მომენტიც ისეთივე გაურკვეველი დადებითი გადაწყვეტილება იყო, როგორც მიიღო უკრაინამ, თუმცა პოლიტიკური ელიტის შეცვლის შემდეგ კიევი უკვე ალიანსისკენ აღარ ისწრაფვის.



კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ საქართველოს ხელმძღვანელები ევროპის ქვეყნებს საყვედურობდნენ და აცხადებდნენ, რომ საქართველოს თუ ექნებოდა ეს გეგმა, რუსეთი ველარ იმოქმედებდა ასე თამამად რეგიონში. ამჟამად თბილისში კვლავ ისწრაფვის ალიანსისკენ. რამდენიმე დღის წინათ ნატოს მისიამ თბილისში ყოფნის დროს შეაფასა საქართველოს რეფორმები, როგორც ამ ორგანიზაციასთან დაახლოების ნაბიჯები. ჩვეულებრივად ასეთი ვიზიტების შემდეგ კეთდება ხოლმე დადებითი შეფასებანი. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა განაცხადა, რომ ახალი ოფისის გახსნა გახდება „საფეხური ინტეგრაციის გაღრმავების გზაზე“.

არ არის გამორიცხული, რომ ნატოს ნოემბრის სამიტზე ლისაბონში ქართველები არა მხოლოდ დააყენებენ საკითხს ალიანსთან დაახლოების შესახებ, არამედ მოამზადებენ მოსკოვისთვის რაიმე მორიგ არასასურველ სიურპრიზს. „ნატო ინარჩუნებს პრინციპულ პოზიციას, და მიუხედავად რუსეთთან თანამშრომლობის განახლებისა, რეგულარულად აღნიშნავს, რომ ბრიუსელსა და მოსკოვს შორის საქართველოს საკითხი კვლავ დარჩება მთავარ საჯილდაო ქვად“, – განაცხადა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ალიანსთან გრიგოლ მგალობლიშვილმა. მან დაუმატა, „ბუქარესტში მიღებული იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ ბრიუსელთან ვსაუბრობთ მისი რეალიზაციის მექანიზმის შესახებ. ლისაბონის სამიტის წინ, სადაც მიიღებენ ნატოს განვითარების სტრატეგიის ახალ კონცეფციას, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“. მუდმივმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არის საუბრები თბილისში ალიანსის გენერალური მდივნის ანდერს ფორ რასმუსენის შესაძლო ვიზიტის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ამის შესახებ თბილისში დეტალურად არ საუბრობენ.

ამ დღეებში ავღანეთში, სადაც მიმდინარეობს ოპერაცია ამ ორგანიზაციის ეგიდით, საქართველომ განიცადა პირველი დანაკარგი, დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი მუხრან შუკვანი. ამ ქვეყანაში 900-ზე მეტი ქართველი სამხედრო იმყოფება. ოპოზიციამ მოითხოვა მათი გამოწვევა „შორეული უცხო ქვეყნიდან“. მაგრამ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველოს კონტინგენტი დარჩება იქ, სადაც არის: ქაბულსა და გილმენდის პროვინციაში.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე




**უკრაინაში გახსნეს აფიორა, რომელიც დაკავშირებულია ყირიმში რუსეთის ფედერაციის მიერ იჯარით აღებულ მიწებთან, თითოეული მათგანისთვის მოსკოვი იხდის 10 მილიარდ დოლარს**

როგორც დადგინდა, უკრაინელმა ჩინოვნიკებმა კერძო სარგებლობისთვის უკანონოდ გადასცეს მიწის ნაწილი, რომელიც იჯარით იყო აღებული ყირიმში რუსეთთან აპრილის შეთანხმების თანახმად შავი ზღვის ფლოტის განთავსებისთვის. სკანდალური თემა შეიძლება ამოტივტივდეს რუსეთის და უკრაინის პრემიერების პუტინისა და აზაროვის ამ კვირისთვის დაგეგმილ მოლაპარაკებაზე და პრეზიდენტების მედვედევისა და იანუკოვიჩის შეხვედრაზე.

* * *




**ბრიტანელი პილოტი გადარჩა. პლანერი, რომლითაც ის ფრენდა, 15 ათასი მაყურებლის თვალწინ მიწაში ჩაერჭო**

ავარია მოხდა მაყურებლიდან 100 მეტრის დაშორებით. პლანერი ტრიუკის წარუმატებელი შესრულების დროს ვერტიკალურად ჩამოვარდა და მიწაში ჩაერჭო. საფრენი აპარატი დაიშალა, მაგრამ 35 წლის პილოტს მაიკლ ნიუმანს მხოლოდ ხერხემალი დაუზიანდა.

* * *

**ინდონეზიაში 3 რუსი ავიატექნიკოსი დაიღუპა: პოლიცია ბრალს სდებს „უცნობ პრეპარატს“, ექსპერტები კი – ალკოჰოლს**




მძიმე ინტოქსიკაციის შემთხვევებში შესაძლებელია კრუნჩხვები, რომლის დროსაც ადამიანს პირიდან გადმოსდის დორბლი, რაც მოხდა ინჟინრებთან დაკავშირებითაც. ასეთი პაციენტის გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია, კიდევ 2 ინჟინერი ჰოსპიტალიზებულია და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება – მათ ჰოსპიტალიზაციას ინციდენტს არ უკავშირებენ.

* * *

**ბულგარეთში აფეთქდა გაზსადენი, რომლითაც გაზი მოდის რუსეთიდან**

აფეთქებამ გაანადგურა გაზსადენის 15 მეტრი, რომელიც თურქეთის საზღვართანაა ახლოს. საგანგებო შემთხვევის მიზეზი, სავარაუდოდ, ტექნიკური გაუმართაობა გახდა.



## სამშენებლო სექტორი

# „ცენტრ პოინტ ჯგუფი“: გენერალური შეტევა მონუსხული წრის გასარღვევად

(მესამე გვერდიდან)

თუ, ვთქვათ, ის 8 პროცენტი, რომელიც მანამდე კომპანიაში არ შემოდიოდა, არაფერი საგანგაშო არ ყოფილა, ვინაიდან ბიზნესისთვის, სავსებით ასატანი იყო, მაგრამ უკვე 2008 წლის დამდეგიდან შემოსული თანხებით მთლიანმა ოდენობამ ჯერ კიდევ 5 პროცენტით დაიკლო და შემდგომ ეს პროცენტი დღითი დღე იზრდებოდა, ხოლო აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს



მიმართ განხორციელებული აგრესიის მერე, ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე გაიზარდა. ამას მოჰყვა 2009 წლის აპრილის გამოსვლები, რამაც იმ უარყოფით 20 პროცენტს კიდევ 20 პროცენტი მიუმატა. ყოველივე ამის შედეგად, შარშან, ზუსტად ერთი წლის წინათ, „ცენტრ პოინტმა“ შემოსასვლელი თანხის მხოლოდ 22 პროცენტი მიიღო...

ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, „ცენტრ პოინტის“ მიერ მისაღები მთლიანი თანხიდან მხოლოდ 22 პროცენტის მიღება, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მართალია, კომპანიაში ფულის გარკვეული ოდენობა კი შედის, მაგრამ მშენებლობების გაგრძელება ამ სახსრებით მაინც ვერ ხერხდება, რადგან თანხა მენეჯერთა და საინჟინრო პერსონალის ხელფასებს, ასევე ობიექტების კონსერვაციის უზრუნველყოფას (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელემენტარულ დაცვას) ხმარდება.

– ფაქტობრივად გამოდის, რომ, მართალია, მისაღები თანხის რაღაც ნაწილი კომპანიაში მაინც შემოდის, რაც მოსახლეობის მიერ ჩვენთვის გადასახდელ თანხას აკლდება, მაგრამ სანაცვლოდ საქმეს წინ ვერ ვწევთ, ანუ მშენებლობები მაინც არ მიმდინარეობს, – განაგრძობს „ცენტრ პოინტის“ გენერალური დირექტორი. – ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა კომპანია და ეს მდგომარეობა კიდევ ერთი წელი რომ გაგრძელებულიყო, მას გადასახადი უფრო მეტი ექნებოდა, ვიდრე შემოსასვლელი თანხაა.

აი, ამიტომ იყო, რომ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, თუ რა საგანგებო ზომები უნდა მიგვეღო ამ მონუსხული წრიდან თავის დასაღწევად. რა იგულისმება ამ მონუსხულ წრეში? – „ცენტრ პოინტს“ სადღეისოდ ასაშენებელი ბინის მომლოდინე 6 ათასი კლიენტი და რამდენიმე ასეული ინვესტორი ჰყავს, რომელთაც 5-დან 50 ათას ლარამდე აქვთ შემოტანილი სხვადასხვა დანიშნულების ფართების ასაშენებლად, რაშიც, თან, პროცენტიც ეკუთვნით. ამ შემთხვევაში გამოსავალი კლასიკური სქემით უნდა მოიძებნოს – სუსტი კომპანია უფრო მძლავრს უნდა შეუერთდეს. კრიზისის პირობებში მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კომპანიისთვის აუცილებელი იყო ახალი მენეჯმენტი, ოღონდ არა საკუთარი, არამედ მოზიდული, რომელიც ჩვენს ვალებს დაიწერდა ჩვენი აქტივების ჩაბარების სანაცვლოდ. თავდაპირველად ახალ იურიდიულ მენეჯმენტზე დავიწყეთ ფიქრი. გამოჩნდა ხალხი, ვინც ვალების ამოღების გარანტიას იძლეოდა, მაგრამ ვალების ამოღება ის საქმეა, რომელიც, შესაძლოა, წლების მანძილზე გაგრძელებულიყო, ამდენად ამ ვარიანტზე უარი ვთქვით. მერე ჯერი ფინანსებზე მიდგა და გამოჩნდა კიდეც ისრაელის ერთ-ერთი ბანკი, რომელიც დაგვთანხმდა ჩვენს დაფინანსებასა და ვალების გადაზარებაზე, რადგან „ცენტრ პოინტს“ 100 მილიონი ლარის ქონება აქვს, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენი კრედიტორების გასტუმრებაზე.

ყოველივე აქიდან გამომდინარე, „ცენტრ პოინტმა“ კონკურსი გამოაცხადა, რომლის პირობებით შემოსული კომპანია ჩვენს ყველა ვალდებულებას გადაიბარებდა და დაწყებულ პროექტებსაც დაასრულებდა. ასეთი კომპანია „დექსუსი“ აღმოჩნდა, რომელსაც ამ მხრივ სათანადო გამოცდილება აქვს. ჩვენი მხრიდან კი საგარანტიოდ „ცენტრ პოინტმა“ საკუთარი სასტუმროების ქსელი ჩადო.

„ცენტრ პოინტ ჯგუფსა“ და „დექსუსს“ შორის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, „დექსუსის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ირაკლი კელაურიძემ აღნიშნა, რომ სადღეისოდ მთავარი მიზანია „ცენტრ პოინტსა“ და კლიენტებს შორის ბოლო წლებში წარმოშობილი ორმხრივი უნდობლობის ბარიერის დაძლევა, მაგრამ მთავარი პრობლემა, ფინანსური სახსრების მოზიდვა, უკვე გადაწყვეტილია.

– „დექსუსის“ სპეციალისტები „ცენტრ პოინტის“ საქმიანობას ორი თვის მანძილზე სწავლობდნენ, რის შედეგად სამწლიანი მართვის თაობაზე ხელშეკრულება გავაფორმეთ, – თქვა მან. – შევხვდით მოსახლეობას, მივაღწიეთ შეთანხმებას. მთავარი პრობლემაა მოსახლეობის გადახდის უუნარობა, რასთანაც დაკავშირებით კრედიტორებს თხოვნით გვინდა მივმართოთ, რომ ისინი სადღეისოდ შექმნილი სოციალური ვითარების ადეკვატურნი იყვნენ.

ბოლოს ვახტანგ რჩეულიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ „ცენტრ პოინტს“ მოღვაწეობის სამი პრიორიტეტული მიმართულება აქვს – დაწყებული პროექტების ბოლომდე მიყვანა, კრედიტორების გასტუმრება და მეპატრონის გამდიდრება, რაც სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი.

**სიმართლე გითხრათ, ეს ბოლო თეზისი არც ჩვენ გვიკვირს და ვიზიარებთ კიდეც, ახლა საქმე პირველი ორის განხორციელებაზეა.**

ოთარ ტურაბელიძე.

## ინფორმაცია თემაში

*საინვესტიციო და დეველოპერული კომპანია „დექსუსი“ პროფესიონალთა ჯგუფს აერთიანებს, რომელმაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოში დაახლოებით 350 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია მოიზიდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა მსოფლიო და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის, სითი ბანკები, OPIC-ი, რამაც არაერთი სამშენებლო პროექტის განხორციელების საშუალება მისცა საქართველოს საზღვრებს გარეთ.*

*„დექსუსს“ შემუშავებული აქვს სამწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელებით „ცენტრ პოინტის“ ყველა პროექტი დასრულდება. გადახდების განახლების შემთხვევაში ყველა მომხმარებელი მიიღებს ბინასა და კომერციულ ფართს, გაისტუმრებენ ყველა კრედიტორს. პროექტების გამოცოცხლებისთვის საჭირო საწყისი კაპიტალი კომპანიას უკვე მოზიდული აქვს. წლის დამლევამდე „დექსუსის“ დეტალურ ბიზნეს-გეგმას შეიმუშავებს, რომლის განხორციელება გაისად დაიწყება. გეგმის მიღების შემდეგ ყველა მომხმარებელსა და კრედიტორს მისი გაცნობისა და ახალ მმართველ კომპანიასთან თანამშრომლობის დაწყების საშუალება ექნება.*



## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2010 წლის 6 ოქტომბერს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74 ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრება 2010 წლის 14 სექტემბერი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.
2. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ საწესდებო კაპიტალის გაზრდა.
3. აუდიტორის არჩევა.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74 ა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

ცხრილი №1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიულ;ი მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი. მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბინებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ს გარეშე თეთრი/კუბ. ეტრი) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | შ.პ.ს.„ბორჩალო+“ | ქ. თბილისი, თემქა, 11 მიკ-ნი. I კვარტალი, კორპუსი 16ბ ბინა 13. | 899 92 35 45 gogi-giorgi@rambler. ru | საყოფაცხოვრებო 50 000 არასაყოფაცხოვრებო 50 000 | საყოფაცხოვრებო–30.619 არასაყოფაცხოვრებო–56.890 |

## ინფორმაცია

### რუსეთი თავისას არ იშლის

რუსეთი აფხაზეთთან რეგულარულ სარკინიგზო და საავიაციო მიმოსვლას გეგმავს. ეს განცხადება რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა გააკეთა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამთავრობო კომისიის სხდომაზე.

მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის მრავალ მოქალაქეს სურს თავისი შვებულების გატარება აფხაზეთის ზღვის სანაპიროზე.

— მოხარული ვარ, რომ ტრანსპორტის სამინისტროში ამას აცნობიერებენ და დაინტერესებულ სტრუქტურებთან ერთად მუშაობენ ჩვენს ქვეყნებს შორის მყარი სარკინიგზო და საავიაციო მიმოსვლის დანერგვაზე — განაცხადა ივანოვმა და დასძინა, რომ მიმდინარე წლის ივლისში პირველი ელექტრომატარებლები უკვე ამოძრავდნენ ადლერსა და გაგრას შორის. ასევე გავიდა პირველი გემიც სოჭიდან გაგრაში.

### უფრო მეტი საკრუიზო გემები აჭარაში...

თურქეთი საქართველოს საკრუიზო გემების ერთიან სისტემაში ჩართვაში დაეხმარება. აღნიშნულის შედეგად აჭარაში გაცილებით მეტი საკრუიზო გემის შემოსვლა გახდება შესაძლებელი.

უახლოეს დღეებში ოდესაში იმართება სპეციალური შეხვედრა, სადაც იგეგმება საკრუიზო გემების მიმოსვლის მარშრუტი და აქ თურქეთი შეეცდება „ერთი ტურისტი ორი ქვეყანას“ ფარგლებში ბათუმის პორტს გაცილებით მეტმა საკრუიზო გემმა მიაკითხოს.

იზმირის სავაჭრო პალატის ხელძღვანელის ეზრემ დემურთაშის განცხადებით, აჭარაში მეტი საკრუიზო გემის შემოსვლა იმის წინაპირობა გახდება, რომ აჭარა ტურისტულად კიდევ უფრო განვითარდეს, ბათუმის პორტი გაფართოვდეს რათა მათ გაცილებით მეტი გემის მიღება შეძლონ.

### თურქული ბიზნესი ისედაც არ გვაკლია

თურქული ბიზნესი საქართველოში ინვესტირებით დაინტერესებულია და ეს დაინტერესება მკაფიოდ ჩანს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ. ამის შესახებ იზმირის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა ეზრემ დემურთაშმა განაცხადა.

როგორც სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი განმარტავს, მათთვის ხელსაყრელია ის ბიზნეს-გარემო რაც საქართველოშია და ამ ფონზე ქვეყანაში თურქული ინვესტიციების მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ თურქეთ-საქართველოს ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში ქართული წყლების კომპანია „წყალი მარგებელი“ ნაბეღლავის თურქეთში გატანაზე გამართავს მოლაპარაკებას.

რა რაოდენობის ნაბეღლავი გაიყიდება თურქეთის ბაზარზე ეს უახლოეს ხანებში გახდება ცნობილი.

ჯი-ეიჩ-ენი

ვაი თქვენს პატრონს!

# ვირისგან წიხლი რა საწყენია!

## ანუ ხელისუფლებამ ნონა გაფრინდაშვილთან თავი კიდევ ერთხელ დაიშამათა!

ბათუმში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საჭადრაკო კლუბი „გადანათლეს“ და ამიერიდან ვეტერანებისად იწოდება, — შევიტყვეთ ამ დღეებში.

მართალია, თავიდან აღვშ-



ფოთდი, მაგრამ მალევე ავწონდავწონე ყველაფერი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ სანერვიულო არაფერი იყო — განა ვირისგან წიხლი საწყენია?!

იმ ქვეყნის იმ რეგიონში, სადაც ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ძეგლები „აამოძრავეს“ და მოაფარეს თვალს, პირუთვნელი მოქალაქეობივი პოზიციით გამორჩეული მამულიშვილის ღვაწლის წყალში (უკაცრავად — შავ ზღვაშიძ გადაძახება დიახაც რომ საამაყოა. საწყენი ის უფრო იქნებოდა, მედროვე ნაცპოლიტიკანებს თანამედროვე საქართველოს უგვირგვინო დედოფალი თავიანთი გორისად რომ მიეჩნიათ და მისთვის ყალბი დითირამბები ეძღვნათ. დაგვეთანხმებით, ეს არც თვით ქალბატონ ნონას სჭირდება და არც ჩვენი საზოგადოების ღირსეულ ნაწილს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია.

რაც შეეხება ვეტერანთა გულის მოსაგებად გადადგმულ ნაბიჯს, ცინიზმი ამაზე შორს მართლაც რომ ვერ წავა, ვინაიდან ყველას კარგად მოეხსენება, როგორ პატივშია ვარდ-ყვავილოვან სახელმწიფოში 40 წელს გადაცილებული ძველი გვარდია.

ჰოდა, გეკითხებით: ღირს კი საინფარქტოდ მიშასა და მისი რაზმის მორიგი უგუნური გადაწყვეტილება?

**გია პლატონიშვილი**

ძიუდო

# სოფიაში ახალგაზრდები იჭიდავებენ

**მომავალ უქმეებზე ბულგარეთის დედაქალაქი სოფია ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის სოსო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით გაემგზავრა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ოთარ კაიდარაშვილი (55ძ, შმაგი ლაგაზაური (60ძ, ლაშა შავდათუაშვილი (66ძ, ბეთქილ აფრასიძე (73ძ, ავთანდილ ჭრიკიშვილი (81ძ, გიორგი ნოზაძე (90ძ, მიხეილ ნარიმანიძე (100ძ და ლევან მატიაშვილი (+100ძ დაიცავენ.**

პირველობაზე ჩვენი გოგონებიც იასპარეზებენ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია თენაძემ სოფიაში დარინე აბულაძე (48ძ, ნონა მერაბიშვილი (52ძ, შორენა შარაძე (63ძ, თეა სუხიტაშვილი (70ძ, და თამარ ლომიძე (+78ძ წაიყვანა.

**ლექსო ცინცაძე**

ტყვიის სროლა

# ჩუბინებს უდესიანი უთავკაცებს



**საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციაში ვადამდელი ანგარიშგება — არჩევნები ჩატარდა.** ორი თვის წინათ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი თავისი ნებით დატოვა დავით ქარსელაძემ. სასტუმრო „სიმპათიაში“ გამართულ ყრილობაზე 29 დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი ფედერაციის პრეზიდენტად გია უდესიანის კანდიდატურას, რომელიც სხვადასხვა დროს დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახურის უფროსად, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

სუმო

# ლევანმა ოძეკი დაამარცხა

**ტოკიოში სუმოისტთა შემოდგომის ბაშოს მესამე დღე წარუმატებელი გამოდგა ლევან ცაგურიასთვის. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ კოკაიმ მე-9 მაეგაშირა ბუშუიამასთან წააგო — არადა, აქამდე ურთიერთშეხვედრებში ჩვენებური 7:1-ს იგებდა.** სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძეძ. იგი კომუსუბის ტიტულის დასაბრუნებლად იბრძვის. მესამე ტურში მან ოძეკი (ჩემპიონიძ ფარუმაფუჯი დაამარცხა. 26 წლის მონღოლთან ქართველ სპორტსმენს ახლა თანაბარი (3:3ძ ბალანსი აქვს. გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელიძ იოლად სძლია ელიტის ყველაზე უხუცეს წარმომადგენელს, ყოფილ სეკივაკე ტოსანოუმს.



სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ განაგრძობენ პაექრობას ჰაკუჰო (იოკოძუნაძ, კოტოოშუ (ოძეკიძ, ტოჩინოშინი (მაეგაშირა 2ძ, იოშიკაძე (მ.11ძ კასუცაო (მ.13ძ და გაგამარუ (მ.15ძ.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი



**თბილისის დინამოელთა ყველაზე ხელხვავრიელმა თაობამ საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი პრინციპული მატჩი მოსკოვში „სპარტაკთან“ 1:5 წააგო. პარტნიორთაგან საუკეთესოდ მაშინ დამარცხებულთა (!ძ ჭაბუკმა მეკარემ მამუკა აბუსერიძემ ითამაშა.**

სწორედ ის შეხვედრა გამახსენა „ბარსელონასა“ და „პანათინაიკოსის“ უთანასწორო საჩემპიონლიგო ბრძოლამ („დ“ ჯგუფიძ, რომელიც, სხვათა შორის, ასეთივე შედეგით დასრულდა კატალონიელთა სასარგებლოდ. რა არ ილონა ელადელთა გოლკიპერმა ცორვასმა, თანაკლუბელთათვის ნამუსი რომ მოეწმინდა, თქვენ

# ნუ დაჭრით მხეცს!



წარმოიდგინეთ, მესის დარტყმული პენალტიც კი მოიგერია, მაგრამ ხომ იცით, როცა ძალა აღმართსა ხნავს, შედარებით სუსტი მეტოქე წინასწარაა განწირული.

ასე მოხდა ამჯერადაც. გემახსოვრებათ, რამდენიმე დღის წინათ ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა შინ სირცხვილი ჭამა პრიმერადივიზიონის დებიუტანტ ალიკანტეს „ჰერკულესისგან“ — 0:2, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბერძნებთან უმნიშვნელოვანესი დუელის წინ მასპინძელთა თავკაცმა ხავი, პედრო და ალვეში დაასვენა. ეტყობა, მოულოდნელმა ალიყურმა კარგა გვარიანად შელახა ფავორიტის თავმოყვარეობა, რასაც პირეოსელთა პირველივე სახიფათო კონტრშეტევა და დაწინაურება მოჰყვა (გოვუძ. ჰოდა, მიდი და გაამტყუნე ამის შემდეგ „ბროწეულისფერები“ (მესი — 2, ვილია, პედრო, ალვეშიძ, უმოწყალოდ რომ დატორეს იოანის ნიოპლიასის შეგირდები. მოკლედ, აწი მაინც ნუ დაჭრით მხეცს!

**„ა“ ჯგუფი.** „ტვენტე“ — „ინტერი“ 2:2, „ვერდერი“ — „ტოტენჰემი“ 2:2.

**შემდეგი ტური:** „ინტერი“ — „ვერდერი“, „ტოტენჰემი“ — „ტვენტე“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ბენფიკა“ — „ჰაპოელი“ 2:0, „ლიონი“ — „შალკე“ 1:0.

**შემდეგი ტური:** „ჰაპოელი“ — „ლიონი“, „შალკე“ — „ბენფიკა“.

**„გ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ — „რეინჯერსი“ 0:0, „ბურსასპორი“ — „ვალენსია“ 0:4.

**შემდეგი ტური:** „რეინჯერსი“ — „ბურსასპორი“, „ვალენსია“ — „მანჩესტერი“.

**„დ“ ჯგუფი.** „კოპენჰაგენი“ — „რუბინი“ 1:0.

**შემდეგი ტური:** „პანათინაიკოსი“ — „კოპენჰაგენი“, „რუბინი“ — „ბარსელონა“.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## ჩემპიონთა ლიგის პრეისკურანტი




**ჩემპიონთა ლიგა მართლაც შემოსავლიანი ყოფილა. ის კლუბები, რომლებიც მონაწილეობენ უეფას 2010-2011 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპში, შემოსული თანხის განაწილების სისტემის თანახმად სულ ცოტა 7,2 მილიონ ევროს მიიღებენ.**

ყველა 32 კლუბი, ჯგუფურ ეტაპში რომ მონაწილეობს, ფიქსირებული ანაზღაურების სახით მიიღებს 3,9 მილიონ ევროს. ამას დაემატება ამ სტადიაზე ნათამაშები ყოველი მატჩისთვის მისი შედეგის მიუხედავად 550 ათასი ევრო. ჯგუფურ ეტაპზე ყოველი გამარჯვება გუნდს 800 ათას ევროს, ხოლო ფრე — 400 ათას ევროს მოუტანს.

ყოველი გავლილი ეტაპისთვის გათვალისწინებულია დამატებითი ბონუსი. როგორც უეფას პრესსამსახური იტყობინება, ის 16 გუნდი, მერვედფინალში რომ გავა, კიდევ მიიღებს სამ მილიონს, მეოთხედფინალისტები კი კიდევ 3,3 მილიონს.ნახევარფინალისტებს დამატებით 4,2 მილიონი შეხვდებათ. ტურნირში გამარჯვებისთვის გუნდი 9 მილიონი ევროთი გაიმდიდრებს თავის ბიუჯეტს, ფინალისტი კი 5,6 მილიონით უნდა „დაკმაყოფილდეს!“

ასე რომ, თუკი გუნდი ჯგუფში მოიპოვებს 6 გამარჯვებას, მაშინ მის ანგარიშზე 15 მილიონი ევრო აღმოჩნდება — 12 მილიონი ცალკეული გამარჯვებებისთვის და 3 მილიონიც მერვედფინალში გასვლისთვის.

ყოველივე ამის გარდა, ჯგუფური ეტაპის მონაწილენი მიიღებენ ტელებაზრიდან შემოსავლის ნაწილსაც. ამ შემთხვევაში თითოეული გუნდის თანხა დამოკიდებული იქნება ტელებაზარზე მისი ქვეყნის ხვედრით წილზე, ნათამაშები მატჩების რაოდენობასა და შინა არენაზე ბოლო ჩემპიონატში მის პოზიციაზე. ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე გაყიდული ბილეთების შემოსავალიც უშუალოდ კლუბებში წავა.

## გადაარჩინეს!

**ეს იშვიათი შემთხვევაა! ვიცით, რომ არც ისე იშვიათია ფეხბურთის მინდორზე სპორტსმენის გარდაცვალების ფაქტები. მათ რიცხვს კინაღამ კიდევ ერთი დაემატა.**

ამსტერდამის „აიაქსის“ ნახევარმცველი ევანდერ სნო მინდორზე შემცვლელ ფეხბურთელად მატჩის მეორე ტაიმში შევიდა „ვიტესის“ წინააღმდეგ სათამაშოდ. 18 წუთის შემდეგ ის მინდორზე მოცელილივით დაეცა, პირიდან კი ქაფი წამოუვიდა.




სარბიელზე შემოვარდნილი ექიმები ფეხბურთელის სიცოცხლისთვის 10 წუთს იბრძოდნენ. მათ დეფიბრიატორიც კი გამოიყენეს გულის ასამუშავებლად (ეს ინდივიდუალური, „სასწრაფო დახმარების“ ხელსაწყო ხომ პრეზიდენტის ინიციატივით მუხრან მაჭავარიანის სცენაზე სიკვდილის შემდეგ საქართველოშიც ინერგება! — **„სრ“. რედ.**ძ. მათი გმირული ძალისხმევის შემდეგ ფეხბურთელი გონს მოეგო და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „აიაქსის“ მწვრთნელის თანაშემწე ალბერტ ვან დერ დისენი ამბობს, მათ ჯერ ეგონათ, რომ ფეხბურთელმა რაღაცაზე წაიბორძიკა, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა. საბედნიეროდ, ექიმი და ფიზიოთერაპევტიც მალე მიეშველნენ და ყველაფერი გააკეთეს ფეხბურთელისთვის სიცოცხლის დასაბრუნებლად.

გონს მოსული ფეხბურთელი გაოცდა, მის გარშემო შეკრებილი ხალხი რომ დაინახა. ახლა მის სიცოცხლეს აღარაფერი ემუქრება.

23 წლის ევანდერ სნო ადრე თამაშობდა „ბრედაში“, „სელტიკსა“ და „ბრისტოლ სიტიში“.

## ესეც ამერიკაში ისწავლა?



**„სექსში ექსპერიმენტები მიყვარს და სხვადასხვა რაღაცეების გაკეთება“, — საჯაროდ აღიარებს 2007 წლის „ბულგარეთის დედოფალი“ გერგანა კოჩინოვა, თუმცა ახლა ლამაზმანი მძიმედ განიცდის სოფიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელ ივან ბონდალოვსკისთან განშორებას.**

23 წლის ქალიშვილმა მოასწრო პოპულარულ მოდელად გახდომა და ამერიკაში „დიდი“ განათლების მიღებაც. ალბათ, ექსპერიმენტებსაც იქ მიეჩვია. ის მაინც უარყოფს იმმითს, თითქოს მის ცხოვრებაში ბევრი მდიდარი საყვარელი იყო.

როგორც თავად განაცხადა, ჯერ კიდევ 16 წლის ქალიშვილის პირველი სიყვარული და პირველი მამაკაციც იყო სოფიის ცსკას ფეხბურთელი ნიკოლაი დოიჩევი. მათი რომანი სამ წელს გაგრძელდა. მეორე კი უკვე ივან ბონდალოვსკი იყო, რომელმაც ის მოატყუა, რასაც გერგანა ახლაც მწარედ იგონებს. თუმცა სექსისადმი თავის ლტოლვას არ მალავს. იმასაც ამატებს, რომ მისი ორი საყვარლიდან არცერთი მდიდარი და სახელგანთქმული არ ყოფილა.

## გამოიცა საიუბილეოდ

# 170 წლის გენიალური პოეტი

**გამომცემლობა „გლობალ პრინტმა“ დასტამბა აკაკი წერეთლის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.**

**პროექტის ავტორია საქველმოქმედო ფონდ „მამულიშვილთა გახსენების“ დამფუძნებელი ბონდო კობაძე.**

**წიგნის რედაქტორი – პროფესორი გურამ ბენაშვილი.**

**გთავაზობთ რედაქტორის წინათქმას.**

170 წელი შესრულდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან...

როგორ აღნიშნავს ამ საიუბილეო თარიღს მისი სათაყვანებელი ერი, ჯერ მხოლოდ სავარაუდოა...

**თუმც, თამამად შეიძლება თქმა, რომ ბრწყინვალე იუბილარისადმი მიძღვნილი წინამდებარე წიგნი (გამომცემლობა „გლობალ პრინტი“ძ უკვე რეალური მაცნეა ამ ფრიად ღირსსახსოვარი მოვლენის დიდი მორალური და ინტელექტუალური მნიშვნელობისა...**

**ეს ერთობ სოლიდური კრებული აკაკის – როგორც ჭეშმარიტად უნიკალური ეროვნული მოვლენის ერთგვარი რეპრეზენტაციაა და მისი ფიზიკური და სულიერი ყოფიერების კონცეპტუალიზაციას ისახავს მიზნად...**

მასში ფართო პლანით გაცხადდა იმ კლასიკური საუკუნის ჰეროიკული სული, რომელმაც თავისი ჯადო-წიაღიდან შვა კოლოსალური მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა.




გენიალური მგოსნისა და მამულიშვილის სრულყოფილი წარმოდგენა, მისი ნამდვილი, არაგაზღაპრებული ადამიანური სახის გააზრებით რომ უნდა ხორციელდებოდეს, ეს, ალბათ, სრულიად ნათელია...

**არსებითად, სწორედ ამ აქტუალურ მიზანს ისახავს მკითხველის წინაშე წარმოდგენილი ეს წიგნი...**

აწ გარდასული ჟამის შემოქმედისა და მოღვაწის შინაგანი „ცივილიზაციისა“ და მოდალობების დემონსტრირებით, იგი, იმედია, კიდევ უფრო ახლობელი და ნაცნობი გახდება ასე „შორს წარსული“ ჩვენი თანამედროვეობისათვის...

**აკაკი, როგორც ეროვნული სულიერების მარადიული ხატი და როგორც ადამიანურ გამოვლინებათა უნივერსალური მაგალითი – აი, ამ წიგნის იდეოლოგიური პრეამბულა და საზრისი...**

თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ პოეტის მხატვრულ ქმნილებათა ნაწილი, მოტივაციის თვალსაზრისით ავტობიოგრაფიულია, ცხადი გახდება წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალის ცოდნის აუცილებლობა...

მისი პოეზიის განუმეორებელი მშვენიერების „სადემონსტრაციოდ“ წიგნში წარმოდგენილია პოეტის ცნობილი ლირიკული შედევრები – პოემა „გამზრდელი“, ნაკვესები, სიტყვა-თქმანი და სხვა...

ამასთანავე ერთად, მასში მკითხველი გაეცნობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის ერთობ პროვოკაციული პრობლემის – გიორგი სააკაძის ისტორიული როლის აკაკისეულ ინტერპრეტაციას (ვაჟაფშაველას შეხედულებათა იდენტურსძ...

დაბოლოს, წიგნში თავმოყრილია ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა და ლიტერატორთა პათეტიკური ოპერტონებით გაჯერებული მოსაზრებები, „ძველთა“ თუ თანამედროვეთა ანალიტიკური განსჯანი აკაკის ცხოვრებასა და ლიტერატურულ ღვაწლზე...

ამგვარია უმდიდრესი ფოტომასალით უხვად ილუსტრირებული ამ წიგნის თემატური რეპერტუარი...

**ვფიქრობ, მისი მაღალი შემეცნებითი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ენციკლოპედიური პარადიგმებით აღბეჭდილ სტრატეგიაშია...**

ასე რომ, ჩვენ წინაშეა შთამომავალთაგან ჯეროვან ყურადღებას, ცოდნასა და პატივისცემას მოწყურებული საუკუნის ძალზედ მნიშვნელოვანი ფრაგმენტები...

**დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარი ქვეყნის კულტურული წარსულის ყოველი ნამდვილი თაყვანისმცემლისათვის ერთი დიდი სიამოვნებაა ილიას, აკაკისა და ვაჟას საუკუნის ლაბირინთებში „ხეტიალი“ და იმ გარდასული ჟამის ნეტარი განცდა, რომლის ანალოგი იშვიათზე იშვიათია მრავალსაუკუნოვანი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში...**

ამ სრულიად განსაკუთრებულ სიამოვნებას იქნებ ისიც ამძაფრებს, რომ ეს არის საუკუნე, რომელიც ჩვენთვის არც თუ ისე შორეულია, რომ არასარწმუნოდ გამოიყურებოდეს და იმავ დროს არც ისე ახლოა, იდუმალების რომანტიკულ მშვენიერებას რომ ჰკარგავდეს...

და კიდევ ის, რომ წინამდებარე წიგნი შეხსენებაა იმ დიდი საუკუნის განმანათლებლური ისტორიული მისიისა, რომელმაც სათავე დაუდო და რეალობად აქცია ცოდნისა და რწმენის სინერგიის უნიკალური პრაქტიკა...

**გურამ ბენაშვილი**

**წიგნის საიუბილეო პრეზენტაცია შედგება 28 სექტემბერს (17 სთ) „თბილისი არტ-ჰოლში“ (ნაძალადევი, ცოტნე დადიანის №26)**

## ასეც ხდება

**ცოტა დაუჯერებელი, ცოტა კურიოზული ელფერი დაჰკრავს ამბავს, რომლის მოყოლასაც თქვენთვის ქვემოთ ვაპირებ და რომლითაც ცნობილმა მუსიკათმცოდნემ, ქალბატონმა ლია სეხნიაშვილმა დამაინტერესა.**

**ამ ამბის მთავარი მოქმედია, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მომღერალი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო, უკრაინის დამსახურებული არტისტი, ვოკალისტთა საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, პროფესორი ლამარა ჭყონია.**

**2007 წელს გამოვიდა ლამარა ჭყონიას მოგონებათა წიგნი „ცხოვრების ტალღებზე“, რომელშიც ავტორს ბევრი საინტერესო ფაქტი და მოვლენა აქვს აღნუსხული და, მე რომ დაუჯერებლად მივიჩნიე, ისიც აქვეა, 72-ე გვერდზე.**

**მაინც რა ხდება?..**



მადამ ბატერფლაი – ლამარა ჭყონია

# 43 წლის შემდეგ ნაპოვნი „გრან პრი“

### 43 წლის წინათ

1967 წლის გაზაფხულზე იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართა „ჩიო-ჩიო-სანის“ საუკეთესო შემსრულებელთა კონკურსი, რომელშიც საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ მოლდაველი მარია ბიეშუ და ქართველი ლამარა ჭყონია, იმ დროისათვის საოპერო სცენის ორი, ჭეშმარიტად დიდი მომღერალი.

ორთავემ აღტაცებაში მოიყვანა მსმენელი, ჟიური და კონკურსის შედეგები რომ გამოცხადდა, ბიეშუს პირველი პრემია ერგო, ჭყონიას კი – მეორე. აქვე ვიტყვით, რომ ქართველ მომღერალს მიენიჭა აგრეთვე იაპონიის მუსიკალური ასოციაციის ერთ-ერთი, მაყურებელთა საპატიო პრიზი.

მერე იყო დახვედრები საბჭოეთის დედაქალაქში, შეხვედრები კულტურის სამინისტროში, მიწვევები სხვადასხვა ქვეყანაში, ქება-დიდება პრესის ფურცლებზე.

... დღეს ქალბატონი ლამარა ჭყონია და მისი მეუღლე ბატონი მორის ლეკიაშვილი ესპანეთში ცხოვრობენ შვილებითა და შვილიშვილებით.

### 43 წლის შემდეგ

ლამარა ჭყონიას მოგონებების წიგნთან ერთად ლია სეხნიაშვილმა ქალბატონი ლამარას მეუღლის **მორის ლეკიაშვილის** წერილიც მიჩვენა, რომელშიც საუბარია, თუ რა მოხდა „ჩიო-ჩიო-სანის“ კონკურსის შემდეგ, რაც, მე პირადად, ცოტა დაუჯერებელი მეჩვენა.

აი ისიც (ავტორის სტილი დაცულიაძ:

**„ლამარა აპირებდა მადრიდში პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებას, ამიტომ სასწრაფოდ საჭირო იყო მისი საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვების დიპლომები, საინტერესო რეცენზიები, აგრეთვე პროფესორობის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტობის დამადასტურებელი ყველა საბუთის ესპანურად თუ არა, ინგლისურად მაინც გადათარგმნა და იქ ჩატანა!**

**ესპანეთში გამგზავრების წინ იმდენი საქმე გამოჩნდა, რომ მე ნათარგმნ მასალას არ ვამოწმებდი, ერთმანეთზე ვდებდი და წასაღებად ვამზადებდი.**

**თურმე, იმ დროს, როდესაც, მე ასეთ გაწამაწიაში ვიყავი, ეთერი *(ლამარასა და მორისის ქალიშვილი – რედ.ძ* დროს არ კარგავდა. მას ლამარას ბიოგრაფია ესპანურ ენაზე შეუდგენია, გაუკეთებია სათანადო რეკლამა და მოწაფეებიც მალე გამოჩენილან! თანაც იმდენი, რომ ის ნათარგმნი მასალა, რომელიც მე ჩავიტანე, საჭირო აღარ აღმოჩნდა! ავდექი და ყველაფერი ეს თაროზე შემოვდე.**

**ეთერი ბევრს მოგზაურობდა, ლამარა ბევრს ამეცადინებდა, ხოლო ჩვენი შვილიშვილი ანა კი ბევრს სწავლობდა. ასე გაირბინა 14 წელმა!!!**

იხ. 12 გვ.

## ხსოვნა

# სულიკო სხულუხია

გარდაიცვალა აფხაზეთის კულტურისა და განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, აქტიური საზოგადო მოღვაწე სულიკო აქვსენტის ასული სხულუხია.

სულიკო სხულუხია დაიბადა 1932 წელს გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერაში. დაამთავრა ქ.სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

შემოქმედებითი საქმიანობა სულიკო სხულუხიამ დაიწყო 1949 წელს. სხვადასხვა წლებში იყო დაბა განთიადის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი, ქ. გაგრის რაიონული კომიტეტის მდივანი, ქ. სოხუმის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების უფროსის მოადგილე. 1993-2005 წლებში, პენსიაზე გასვლამდე, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე. მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით აღდგა კულტურის არაერთი კერა დევნილობაში. სულიკო სხულუხია გამოირჩეოდა გულისხმიერებით, ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. მას არასდროს სტოვებდა იმედი მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებისა და ამ სულისკვეთებას უნერგავდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მუდამ გარს ეხვივნენ. წარმატებით დასრულდა მისი არაერთი წამოწყება, რომელიც მუდამ ქვეყნის ინტერესებისაკენ, დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფისაკენ იყო მიმართული.

დევნილობის მძიმე ხვედრის მიუხედავად, იყო მუდამ ხალისიანი, ჯანსაღი იუმორითა და ოპტიმიზმით სავსე, უშურველი და დაუღალავი გაჭირვებულთა შეწევნაში, მისაბაძი კოლეგების, მეგობრების, ოჯახის წევრებისა თუ ყველა მის გვერდით მყოფი ადამიანის მიმართ.

დიდხანს გაგვყვება მისი სითბო და სიყვარული, მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.

აფხაზეთის მთავრობა,
აფხაზეთის უმაღლესი საბჭო


# შეტყობინება

**სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ**

**სს „იბერია უძრავი ქონებას“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი იწვევენ აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2010 წლის 06 ოქტომბერს 11:00 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.№ 49ა-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.**

**სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც იქნება 2010 წლის 27 სექტემბერი, რომლის სამუშაო დროის დასრულების მდგომარეობით განისაზღვრება კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია.**

**დღის წესრიგი:**

1. ს.ს. მენეჯმენტის ანგარიში 2009 წლის შედეგების შესახებ და 2010 წლის ბიუჯეტის განხილვა;
2. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევის საკითხის განხილვა;
3. საზოგადოების მიერ დამატებითი ფინანსირებისა და კაპიტალის მოზიდვის მიზნით, საზოგადოების ნებადართული კაპიტალის გაზრდისა და შესაბამისი აქციების ემისიის საკითხის განხილვა. ასევე ემისირებულ აქციებზე აქციოენერების უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.
4. საზოგადოების მიმდინარე საგადასახადო საკითხების განხილვა.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორთან. დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისგან როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორთან 2010 წლის 30 სექტემბრამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

**საზოგადოების დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა, რომ**

1. ახალი ბიუჯეტის განხილვა საშუალებას მისცემს მენეჯმენტს სწორად მართოს კომპანიის ფინანსური რესურსები.
2. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად და საზოგადოების უფრო ეფექტური და პროდუქტიული მუშაობისათვის მიზანშეწონილია დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა.
3. მიზანშეწონილია საზოგადოებისათვის დამატებითი კაპიტალის მოზიდვის საკითხის განხილვა და მისი დარეგულირება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების საქმიანობის მაქსიმალურად შეუფერხებლად წარმართვას.
4. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საზოგადოებაში მიმდინარე საგადასახადო საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები საშუალებას მისცემს საზოგადოებას ახალი და პერსპექტიული გეგმების განსავითარებლად.

**პატივისცემით,**
**რამაზ მოსაშვილი,**
**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;**

**ლევან თელია**
**დირექტორი.**


**აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი**
**სულიკო სხულუხია**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო გამოთქვამს ღრმა მწუხარებას კონსტანტინე კუჭუხიძის დედის**
**თინიკო თოფურია-კუჭუხიძის**
**გარდაცვალების გამო.**

---

**შვილი გია ნანეიშვილი, რძალი ქეთევანი, შვილიშვილები ირაკლი, თორნიკე, ძმა ბიძინა კარტოზია, ძმისწულები ლევანი, ოთარი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**ფატი მელიტონის ასული კარტოზია**
**გამოსვენება 16 IX, 14 სთ. ქეთევან წამებულის ქ. № 88.**

## ◉ საქართველოს მომავალი

# სწავლა დაიწყო!..





გუშინ ჩვენი ქვეყნის საჯარო სკოლები ისევ აჟრიამულდა, დაიწყო სწავლა-განათლების მღელვარე დღეები, თვეები.. აკაკი წერეთლის გამზირზე მდებარე 166-ე საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ირმა ომანაძე გვეუბნება, რომ სკოლის შენობაში ზოგი რამ უკეთესად დახვდება მოსწავლეებს, მაგალითად, მოწესრიგდა საკლასო ოთახები, საერთოდ, ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, წელს ჩვენთან 146 პირველკლასელი მოვიდა, რომლებიც აქედანვე შეისწავლიან ინგლისურს, მაგრამ, უპირველესად, მშობლიურს, – ამბობს ქალბატონი ირმა.

მაშ, წარმატებები ვუსურვოთ ყველას – მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც...





## ◉ ასეც ხდება

# 43 წლის შემდეგ ნაპოვნი „გრან პრი“

**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

ამა წლის მაისის დასაწყისში, ლამარამ თავის მოწაფეებს განუცხადა რომ, მას აღარ შეუძლია უცხოეთში ცხოვრება და რომ ივლისში იგი მიემგზავრება სამშობლოში. იმის აღწერა ძნელია თუ როგორ ეწყინათ ეს მოწაფეებს! ბევრი ცრემლს ვერ მალავდა, ყველა ცდილობდა მისდამი სიყვარული გამოეხატა, მოჰქონდათ სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო რამდენიმე მათგანმა ისიც კი განაცხადა, რომ ჩამოვლენ თბილისში, რათა ლამარასთან სწავლა გააგრძელონ. რაც შეეხება 34 წლის მარტას, რომელიც წარმოშობით ბასკია და სანამ ლამარასთან მოვიდოდა, სწავლობდა ბილბაოსა და მადრიდის კონსერვატორიებში, განაცხადა, რომ გადაწყვიტა ლამარაზე წიგნის დაწერა, ამიტომ გვთხოვა, ერთი კვირით ლამარას არქივი მისთვის გადაგვეცა. მეც აღარ დავაყოვნე, 14 წლის წინათ ესპანეთში ჩატანილი მასალა თაროდან გადმოვიღე და გავატანე სახლში.

მეორე დღეს მარტა ეკითხება ლამარას, თუ რატომ ამბობს იგი, რომ მან იაპონიაში მეორე ადგილი მოიპოვა, როდესაც ამ დიპლომში, რომელიც მას უჭირავს, გარკვევით წერია, რომ ლამარა ჭყონია დაჯილდოებულია – „გრან პრით“!!! ხოლო მეორე ადგილზე გასვლის ხსენება არც ერთ დიპლომში არ არისო!

ლამარამ და მე გაკვირვებისაგან ხმა ვერ ამოვიღეთ, რა გამოდიოდა? – კონკურსის ჩატარებიდან 43 წლის შემდეგ ჩვენ ვიგებთ სიმართლეს, თანაც სრულიად შემთხვევით!

გამოდის, რომ მაშინ ვიღაცვიღაცეებმა შეგნებულად საბჭოთა საელჩოში არ გაახმაურეს ეს ამბავი, გამოიყენეს ის ფაქტი, რომ იაპონური ენა, ჩასულ დელეგაციებში არავინ არ იცოდა, იაპონიიდან გადმოსცეს, რომ ბიეშუ პირველი, ლამარა მეორე – რაც შეეხება „გრან პრის“, მისი ხსენება არსად არ იყო. ლამარა ისედაც ბედნიერი იყო, ამიტომ არც დაეჭვებულა!!!

არ ვიცი ამ ისტორიას რა დავარქვა!..

* * *

**მე ცოტა გაუგებრობა, ცოტა კურიოზი, ცოტა უყურადღებობა ვუწოდე ამ ამბავს, ძვირფასო მკითხველო.**

**თქვენ რას დაარქმევდით?..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◉ ანეკდოტები

ახალდაქორწინებულები მსჯელობენ, თუ რამდენი ბავშვი იყოლიონ.

– მე ორი შვილი მინდა! – ამბობს ქმარი.

– მე – სამი! – კატეგორიულია ცოლი.

– არავითარ შემთხვევაში, მეორე ბავშვის შემდეგ სულაც კასტრაციას გავიკეთებ!

– შენი ამბავი შენ იცი, მე კი მგონია, რომ მესამე ბავშვი საკუთარივით გეყვარება.

* * *

მთის აულში ერთიანად გაჭაღარავებულ მოხუცს ბიჭი მიუახლოვდა:

– ბაბუ, რამდენი წლისა ხართ?

– 152-ისა.

– ეწევით და სვამთ?

– რა თქმა უნდა, თორემ სხვანაირად ხომ საერთოდაც ვერ მოვკვდები!

* * *



– გამარჯობა, მიხო, მანქანა გიყიდია, არა?

– მაშა!

– რომელი წლის გამოშვებაა?

– 1991-ისა.

– ო-ო-ო... სრულწლოვანი ყოფილა! სრული დატვირთვით შეგიძლია იხმარო!

* * *

ივანიჩმა შვილი ტუალეტში შეიყვანა:

– კაცის შესახებ იმითაც შეიძლება იმსჯელო, თუ რას კითხულობს იგი ტუალეტში. აი, ნახე, მე უკვე მესამედ გადავიკითხე „ომი და მშვიდობა“, დედაშენმა –„ფორსაიტების საგა“, ბაბუაშენმა – სოლჟენიცინის „წითელი ბორბალი“. შენ კი რას კითხულობ? სამმანეთიან სულელური ანეკდოტების თხელ ბროშურებს. რას მიანიშნებს ეს?

– იმას, მამი, რომ შეკრულობას მკურნალობა სჭირდება და არა ამით ტრაბახი!

## ◉ დღის კალენდარი

**16 სექტემბერი**



ამოდის 05.42
ჩადის 18.09



ამოდის 14.25
ჩადის 23.45

**მღვდელმოწამისა ანთიმოზისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა, და მისთანა მოწამეთა: თეოფილე დიაკონისა, დოროთსი, მარდონისი, მიგდონისი, პეტრესი, ინდისისა, გორგონისი, ზენონისა, დომნა ქალწულისა და ექვთიმესი და სხვათა (302ძ; ღირსისა თეოქტისტესი, ღირსი ეფთვიმე დიდის თანამზახველისა (467ძ; წმიდისა ფებე დედათდიაკონისა (Iძ; მოწამისა ბასილისა ნიკომიდიელისა ( 309ძ; მღვდელმოწამისა არისტიონისა, ალექსანდრიელი ეპისკოპოსისა; იოანიკე II სერბელი პატრიარქისა (1354ძ.**

### დაიბადნენ:

**1387 – ჰენრიხ IV,** ინგლისის მეფე, უბადლო მეომარი.

**1462 – პიეტრო პომპონაცი,** იტალიური აღორძინების ერთ-ერთი წამყვანი ფილოსოფოსი.

**1745 – მიხეილ კუტუზოვი,** რუსი მხედართმთავარი. გარდაიცვალა 1813 წელს.

**1921 – ოთარ ჯაფარიძე,** ისტორიკოსი, აკადემიკოსი.

**1930 – ნოდარ გურაბანიძე,** თეატრმცოდნე, პროფესორი.

**1953 – მიკი რურკი,** ამერიკელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**1380 – კარლოს V ბრძენი,** საფრანგეთის მეფე.

**1498 – ტომაზო ტორკვემადა,** ესპანეთის პირველი დიდი ინკვიზიტორი.

**1824 – ლუდოვიკო XVIII,** საფრანგეთის მეფე.

**1911 – მიხეილ თამარაშვილი,** ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

**1932 – რონალდ როსი,** ინგლისელი პარაზიტოლოგი.

**1977 – მარია კალასი,** ოპერის გამოჩენილი მომღერალი.

### მოვლენები:

**1812 წელი** – ხანძარი ნაპოლეონისთვის დატოვებულ მოსკოვში.

**1848 წელი** – საფრანგეთის ყველა ტერიტორიაზე გაუქმდა მონობა.

**1940 წელი** – ამერიკაში გამოვიდა კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ.

**1967 წელი** – საბჭოთა კავშირმა სემიპალატინსკში ბირთვული გამოცდა ჩაატარა.

**1978 წელი** – ქალაქ თებესში (ირანიძ მომხდარმა მიწისძვრამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**1987 წელი** – მონრეალში 24 ქვეყანას შორის დაიდო ხელშეკრულება ოზონის შრისათვის საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა გამოშვების შეწყვეტის შესახებ.

**2000 წელი** – გაიხსნა ოლიმპიური თამაშები სიდნეიში (ავსტრალიაძ.

**ღირსსახსოვარი დღეები**

**ოზონის ფენის დაცვის საერთაშორისო დღე.**

**მექსიკა** – დამოუკიდებლობის დღე.

**პაპუა-ახალი გვინეა** – დამოუკიდებლობის დღე.

**მალაიზია, სინგაპური** – დამოუკიდებლობის დღე.

**უკრაინა** – გამომგონებლის დღე.

**უკრაინა** – ფარმაცევტის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.